

თორნიკე გოგეშვილი

მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

## აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

### იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

#### თორნიკე გოგეშვილი

#### თორნიკე გოგეშვილი

ვადასტურებ, რომ სამაგისტრო ნაშრომი მტკიცების სტანდარტი  
გამოძიების სტადიაზე

1. მომზადებულია ჩემს მიერ და იგი:

ა. არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს საავტორო უფლებების  
შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ. სრულად და ნაწილობრივ არ არის გამოყენებული მონოგრაფიები ჩემს ან  
სხვა ნებისმიერი პირის მიერ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

გ. ვაცხადებ, რომ ჩემს მიერ შესამოწმებლად წარმოდგენილი ნაშრომის  
ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები ემთხვევა ერთმანეთს.

ავტორის ხელმოწერა:

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი თორნიკე გოგეშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი:

ბესიკ მეურმიშვილი

---

თარიღი : 26.02.2021წ.

## რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი შეეხება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე უფლებამოსილი პირისათვის სახელმძღვანელო მტკიცებულებითი სტანდარტის - დასაბუთებული ვარაუდის ცნებისა და არსის განმარტებას. გამოძიება სისხლის სამართლის საქმის წარმოების უმნიშვნელოვანესი სტადიაა, რადგან სწორედ გამოძიების სტადიაზე, მხარეთა მიერ მოპოვებული და სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მიიღოს სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება - დამნაშავეა თუ არა ბრალდებული.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას მნიშვნელოვანი მტკიცებულებები ხშირ შემთხვევაში ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის შედეგად მოიპოვება. დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტი და შესაბამისი (სასამართლო კონტროლის) პროცედურების განსაზღვრა სწორედ ამ ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიების სახელმძღვანელო სტანდარტის შინაარსი ძირითადი უფლებების შეზღუდვის ჭრილში მეტად აქტუალურია.

აღნიშნული მტკიცებულებითი სტანდარტი განხილული იქნება კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით. გაანალიზებული იქნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული როგორც ქართული, ისე სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა. წარმოჩენილი იქნება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან დაკავშირებული, პრაქტიკაში არსებული პრობლემები და შემოთავაზებული იქნება მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების სტანდარტებსა და დასაბუთებული ვარაუდის ცნებისა და

დანიშნულების განმარტებას. მეორე თავი - სისხლისსამართლებრივი დევნისა და ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მტკიცებულებით საფუძვლებს, ცალკეული, პრობლემატური შემთხვევების განხილვასა და ანალიზს, სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. მესამე თავში მოკლედაა მიმოხილული გამოძიების სტადიაზე მტკიცების სტანდარტები კონტინენტური ევროპის და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში არსებული კვლევის საგანთან დაკავშირებული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, გაკეთებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. ასევე განხილულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით.

## შინაარსი

## შესავალი

### 1. მტკიცების სტანდარტები სისხლის სამართლის პროცესში

1.1 მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

1.2 მტკიცების სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით

1.3 დასაბუთებული ვარაუდის ცნება, არსი და დანიშნულება

2. ცალკეულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა ჩატარების მტკიცებულებითი სტანდარტი

2.1 ჩხრეკისა და ამოღების ურთიერთმიმართება და შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტი

2.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე

2.3 სასამართლოს განჩინებით პირის დაკავებისათვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტი

2.4 დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე

2.5 აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი

3. გამოძიების სტადიაზე მტკიცების სტანდარტები კონტინენტური ევროპის და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში

3.1 კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში მტკიცების სტანდარტების შედარებითი ანალიზი

3.2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან მიმართებით

დასკვნა

ბიბლიოგრაფია (პირველწყაროების, სამეცნიერო და სხვა ლიტერატურის მიმოხილვას).

#### გამოყენებული შემოკლებანი:

ა.შ. - ასე შემდეგ

აშშ. - ამერიკის შეერთებული შტატები

გვ. - გვერდი

ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ე.წ. - ეგრედ წოდებული

თბ. - თბილისი

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

რედ. - რედაქტორი

სსსკ. - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი

შეად. - შეადარეთ

შსს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

### შესავალი

2009 წლის 09 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პროცესი ინკვიზიციურიდან მხარეთა შეჯიბრებით საპროცესო მოდელზე გადავიდა. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ მხარეებს მეტ-ნაკლებად მიეცათ თანაბარი შესაძლებლობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სასამართლოს ჩარევის გარეშე<sup>1</sup> ჩაატარონ გამოძიება: მოიპოვონ ინფორმაცია, მოახდინონ მათი საპროცესო დამაგრება, შეაფასონ თავიანთი მტკიცებულებები, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გამოიკვლიონ ისინი და მათ საფუძველზე წარუდგინონ მოსამართლეს თავიანთი პოზიციები ან/და უარყონ მოწინააღმდეგე მხარის შეხედულებები.<sup>2</sup> აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული სისხლის

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მიერ 2016 წლის 10 მაისს გამოტანილი განაჩენი №652აპ-15

<sup>2</sup> Laukkanen and Manninen v. Finland, ECtHR, 03.02.2004, Application no. 50230/99, § 34; Affaire Skondrianos v. Greece, ECtHR, 18.12.2013, Application no. 63000/00; 74291/01 and 74292/01, § 29; Fitt v. The United Kingdom, ECtHR, 16.02.2000, Application no. 29777/96, § 44; Brandstetter v. Austria, ECtHR, 28.08.1991, Application no. 11170/84; 12876/87; 13468/87, § 66-67.

სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა არაერთი ცვლილება, რომლის მიზანი იყო მაქსიმალურად უზრუნველყო მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სისხლის სამართლის საქმისწარმოება მიმდინარეობს ორ ეტაპად, ესენია: გამოძიების ეტაპი და საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპი. აღნიშნულ ეტაპებზე პროცესის მწარმოებელი ორგანოების მიერ გამოიყენება განსხვავებული მტკიცებულებითი სტანდარტები. გამოძიება სისხლის სამართლის საქმისწარმოების მნიშვნელოვანი სტადიაა, რადგან სწორედ ამ სტადიაზე, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით ხდება მხარეთა მიერ თავიანთი პოზიციისთვის სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვება. გამოძიების სტადიაზე უფლებამოსილი პირების მიერ საპროცესო მოქმედებების კანონშესაბამის განხორციელებაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საქმის ბედი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, „ეს კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს“. სისხლის სამართალწარმოების საბოლოო ეტაპი მართლმსაჯულების განხორციელებაა, რაც სასამართლოში საქმის არსებითი განხილვით მიიღწევა. ამ პროცესში კი გამოძიება უმნიშვნელოვანესი სტადიაა, რადგან სწორედ გამოძიების სტადიაზე, მხარეთა მიერ მოპოვებული და სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მიიღოს სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება - დამნაშავეა თუ არა ბრალდებული.

„განსხვავებით კონტინენტური სამართლის სისტემის უმეტესი ქვეყნებისგან, სადაც მოქმედებს ე.წ. „ობიექტური ჭეშმარიტების“ დადგენის პრინციპი, ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის საპროცესო სამართლისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა



ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობა, რაც გამომდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპიდან.“<sup>3</sup>

გამოძიების დაწყების მომენტიდან გამოძიების მთელ პერიოდზე წინასასამართლო სხდომამდე, პროცესის მწარმოებელი პირი/ორგანო, საპროცესო გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტით. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისათვის მტკიცების აღნიშნული მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილება უწევს დაცვის მხარესაც. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს იყენებს მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ანალოგიურად, საქმის არსებითი განხილვისას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი სასამართლოს მიერ მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას გამოიყენება.

გამოძიების სტადიაზე უფლებამოსილი პირის მიერ ამა თუ იმ მოქმედების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელება მის უკანონოდ ცნობას გამოიწვევს, რაც ბუნებრივია უარყოფითად აისახება საქმის საბოლოო შედეგზე. აღნიშნული განსაკუთრებულ დატვირთვას და მნიშვნელობას სძენს გამოძიების სტადიაზე შესაბამისი პირისათვის მინიჭებული სახელმძღვანელო მტკიცებულებითი სტანდარტის სწორ და ერთგვაროვან განმარტებას. შეჯიბრებით პროცესში აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალურია. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას მნიშვნელოვანი მტკიცებულებები ხშირ შემთხვევაში ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად მოიპოვება. ასეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საფუძვლად კანონმდებლის მიერ დასაბუთებული ვარაუდის

---

<sup>3</sup> ი.ხ. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014, გვ. 235

მტკიცებულებითი სტანდარტის და შესაბამისი (სასამართლო კონტროლის) პროცედურების განსაზღვრა სწორედ ამ ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი და თვითნებური ჩარევის აღკვეთას ისახავს მიზნად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიების სახელმძღვანელო სტანდარტის შინაარსი ძირითადი უფლებების შეზღუდვის ჭრილშიც აქტუალურია.

ნაშრომის მიზანია საფუძვლიანად და სიღრმისეულად გაანალიზოს დასაბუთებული ვარაუდის ცნება, არსი და დანიშნულება, მისი განმარტება კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით. განხილული იქნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული როგორც ქართული, ისე სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა. ნაჩვენები იქნება თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რას თვლის სასამართლო საკმარისად აღნიშნული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. წარმოჩენილი იქნება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან დაკავშირებული, პრაქტიკაში არსებული პრობლემები და შემოთავაზებული იქნება მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნება ანალიტიკური, ინდუქციური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. გაანალიზებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომი შედგება შესავლის, დასკვნის, 3 თავისა და 9 ქვეთავისაგან, რომელთაგან პირველი თავი ეთმობა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების სტანდარტებსა და დასაბუთებული ვარაუდის ცნებისა და დანიშნულების განმარტებას. მეორე თავი - სისხლისსამართლებრივი დევნისა და ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მტკიცებულებით საფუძვლებს, ცალკეული, პრობლემატური შემთხვევების განხილვასა და ანალიზს, სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. მესამე თავი - მოკლედაა მიმოხილული გამოძიების სტადიაზე მტკიცების სტანდარტები კონტინენტური ევროპის და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი

სისტემის ქვეყნებში არსებული კვლევის საგანთან დაკავშირებული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, გაკეთებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. ასევე განხილულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით.

## **1. მტკიცების სტანდარტები სისხლის სამართლის პროცესში**

### **1.1 მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით**

საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა გარკვეულ სტანდარტებს, რომლებიც მხარეებს უნდა დაეკმაყოფილებინათ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას. აღნიშნული კანონის მიხედვით ყველაზე დაბალი მტკიცების სტანდარტი იყო ეჭვმიტანილის სტანდარტი, რომელიც დასაბუთებული ვარაუდისგან განსხვავებით გაცილებით ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა. 1998 წლის საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით თუ არსებობდა პირის მიმართ ეჭვი, მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით, რომელიც ბრალის წასაყენებლად არ იყო საკმარისი, ბრალდების მხარე მას დადგენილებით სცნობდა ეჭვმიტანილად. მოქმედი კოდექსისთვის კი ეჭვმიტანილის სტანდარტი უცხოა, ხოლო პირის ბრალდება მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზეა შესაძლებელი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქმედი სსსკ-ის მიხედვით დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია სახეზე იყოს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა და არა მხოლოდ ერთი რომელიმე

კონკრეტული მტკიცებულება, რაც მას აღნიშნული სტანდარტის წინამორბედი ვერსიისაგან განასხვავებს.

მაღალი ალბათობის ხარისხს იცნობდა ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც, მაგრამ ამ სტანდარტით ხელმძღვანელობდა არა წინასასამართლოს სხდომის მოსამართლე, არამედ ბრალდების მხარე მაშინ, როდესაც ბრალდებულად სცნობდა პირს. „ის სტანდარტი რაც დღეს წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს აქვს ძველი სისხლის სამართლის პროცესში გამოიხატებოდა ე.წ. საბრალდებო დასკვნის სტანდარტში... „საბრალდებო დასკვნა არის ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე წერილობითი აღწერა და განსასჯელის სამართალში მიცემის საფუძველი.“<sup>4</sup>

ძველი სსსკ-ის მე-19 მუხლის მიხედვით მოსამართლე შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირის მსჯავრდების შესახებ. კანონი მას ურთიერთშეთავსებად, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის გარდა ასევე უდგენდა დამატებით კრიტერიუმებს - კანონიერება, სამართლიანობა და დასაბუთებულობა, რომლებითაც განაჩენი უნდა საბუთდებოდეს.<sup>5</sup>

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცებულებითი სტანდარტების განახლებულ და უფრო დახვეწილ ნაკრებს ითვალისწინებს. მართალია ახალ პროცესშიც ვხვდებით დასაბუთებული ვარაუდის, ალბათობის მაღალი ხარისხისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტებს, მაგრამ მათ განსხვავებული დანიშნულება და გამოყენების განსხვავებული სტადიები აქვთ.

## **1.2 მტკიცების სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით**

---

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 1998 წლის 10 სექტემბერი, მუხლი 409.

<sup>5</sup> საქართველოს სსსკ. 1998 წლის 20 თებერვალი (24/12/2014 მდგომარეობით), მუხლი 496

საქართველოს კონსტიტუციის<sup>6</sup> 62-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სასამართლოში საქმის განხილვა შერეული პროცესიდან წმინდა შეჯიბრებით პროცესზე გადავიდა. რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორის მიერ ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა შეჯიბრობითობისა და თანასწორობის საფუძველზე.

სისხლის სამართლის საქმის განხილვის ყველა ეტაპზე მხარეები თავიანთ პოზიციებს ასაბუთებენ მტკიცებულებების მეშვეობით, ამ მტკიცებითი პროცესის განმავლობაში მოსამართლე აფასებს მისთვის წარდგენილ ინფორმაციას, რაც საბოლოო ჯამში ასახვას ჰპოვებს განაჩენში. სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით, „მტკიცებულება არის მხარეების მიერ სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც ისინი სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს შემდეგი სახის მტკიცებულებებს: მოწმის ჩვენება; ბრალდებულის ჩვენება; ირიბი ჩვენება; ნივთიერი მტკიცებულება; დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება; ექსპერტიზის დასკვნა; პრეიუდიცია.<sup>7</sup> ამრიგად, საპროცესო სამართალი განსაზღვრავს იმ მტკიცებულებების ჩამონათვალს, რომელთა წარდგენაც მხარეებს შეუძლიათ სასამართლოში საქმის წარმოებისას ( ე.წ. *numerus clauses* პრინციპი).<sup>8</sup>

---

<sup>6</sup> ი.ხ. საქართველოს კონსტიტუცია 24 აგვისტო 1995 წელი (კონსოლიდირებული ვერსია 2020 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით)

<sup>7</sup> ი.ხ. საქართველოს სსსკ-ის 73-78 მუხლები

<sup>8</sup> გერმანული მტკიცების სამართლის თეორიისთვის უცხოა მტკიცებულებების განსაზღვრა ნორმატიულ დონეზე. დაწვრილებით ი.ხ. გლუცენკო, გოლოვკო, გილომონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007წელი, გვ. 515

"მტკიცების გარეშე სისხლის სამართლის პროცესი წარმოუდგენელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ის არსებითად იქნებოდა მხოლოდ გროვა თეორიული პოსტულატებისა თვით სისხლის სამართლის პროცესის, მის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების, მათი მიღწევის შესაძლო საშუალებებისა და ხერხების შესახებ, მაგრამ არა იმის თაობაზე, თუ ვინ, როგორ და რა პრაქტიკული საქმიანობის საშუალებით უნდა განახორციელოს ეს ყველაფერი... მტკიცება გულისხმობს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში საერთო დასკვნების დასაბუთებას, რომლებიც დაკავშირებულია გამოძიების დაწყების, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და მისი ბრალდებულის სახით პროცესში ჩართვის, განაჩენის დადგენის შესახებ და სხვა გადაწყვეტილებების მიღებასთან."<sup>9</sup>

მტკიცების პროცესი შეისწავლის ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში და რომლის აბსოლუტური სიზუსტით აღდგენა შეუძლებელია. საქმის ყველა გარემოების დადგენისთვის კი მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების ჩვენებები, მოვიძიოთ ფაქტის ამსახველი ინფორმაცია, ჩავატაროთ ექსპერტიზები, რათა სრულყოფილად აღვადგინოთ შემთხვევის დღეს განვითარებული მოვლენები. ჩვენ არ ვართ თვითმხილველნი დანაშაულებრივი ქმედებისა, მაგრამ ყველა რესურსის გამოყენებით გაშუალედებულად უნდა შევისწავლოთ იგი.<sup>10</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულია დანაშაულის გამოძიების წესები, რომლების მეშვეობითაც უფლებამოსილი პირი ადგენს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივ გარემოებებს. სწორედ ამ მიზნით სსსკ-ი აწესებს ნორმათა ერთობლიობას დანაშაულის შესახებ

---

<sup>9</sup> ოშხარელი მ., "მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა", მართლმსაჯულება და კანონი NN1(57)2018, გვ. 80-83

<sup>10</sup> ი.ხ. ქათამაძე ე., „მტკიცების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, ჟურნალი N6, კავკასიის უნივერსიტეტი, 2014წ. გვ. 7-8

ინფორმაციის შეკრებასთან, დამაგრებასთან, შემოწმებასა და შეფასებასთან დაკავშირებით, რომელთაც - მტკიცებით სამართალს უწოდებენ.<sup>11</sup>

მტკიცების პირველ ეტაპზე ხდება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წყაროების აღმოჩენა. მტკიცების პროცესში უნდა მოვიძიოთ, გამოვკვეთოთ გარემოებები, რომლებიც მოგვაწვდიან ინფორმაციას და ნათელს მოჰფენენ მომხდარ ფაქტს.<sup>12</sup> გამოძიების ეტაპზე მხარეები მოიპოვებენ მტკიცებულებებს, რომლებსაც წარადგენენ სასამართლოში, ხოლო წინასასამართლო სხდომაზე (გამონაკლის შემთხვევაში, თუ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოხდა მტკიცებულების წარდგენა სასამართლოში საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე ამოწმებს მტკიცებულების დასაშვებობას) მოსამართლე ამოწმებს მტკიცებულებების მოპოვების კანონიერებას - საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით, ასევე იყო თუ არა იგი გაცვლილი მეორე მხარისთვის წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე.<sup>13</sup> პროფესორ ბ. ხარაზიშვილის და პროფესორ მ. ოშხარელის აზრით მტკიცებულების შეფასება მტკიცების პროცესის დასკვნითი ეტაპია.<sup>14</sup>

„მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მათი მნიშვნელობის განსაზღვრას საქმის გარემოებების დადგენის მიზნით და სასამართლო წარმოების ყველა ამოცანის გადაწყვეტის თვალსაზრისით“.

„მტკიცებულებათა შეფასება, მისი კლასიკური გაგებით, ხდება იმ მიზნით, რომ გადაწყდეს სისხლის სამართლის პროცესის მთავარი ამოცანა — ბრალდებულის დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხი, რის კომპეტენცია საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს ეკუთვნის და

---

<sup>11</sup> ი.ხ., ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მეხუთე გადამუშავებული გამოცემა, რედაქტორი ბადრი ბიწაძე, თბილისი 2015, "ბონა კაუზა" გვ.99

<sup>12</sup> ი.ხ., ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1982, გვ. 17, 158.

<sup>13</sup> დაწვრილებით ი.ხ. საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი

<sup>14</sup> ი.ხ. ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), რედ. ვ. ლორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.1982, გვ. 173; ოშხარელი მ., "მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა", მართლმსაჯულება და კანონი N1(57)2018, გვ. 73-86

მტკიცებულებათა ძირითად და საბოლოო შეფასებას სწორედ არსებითად განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) ახდენს საქმეზე განაჩენის დადგენისას (სასამართლო თათბირისას).<sup>15</sup>

მტკიცების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მტკიცების სტანდარტებს. „განსხვავებით კონტინენტური სამართლის სისტემის უმეტესი ქვეყნებისგან, სადაც მოქმედებს ე.წ. „ობიექტური ჭეშმარიტების“ დადგენის პრინციპი, ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის საპროცესო სამართლისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობა, რაც გამომდინარეობს შეჯიბრობითობის პრინციპიდან.“<sup>16</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეჯიბრობითობის პრინციპზეა აგებული. სასამართლოში მხარეები წარადგენენ და იკვლევენ მხოლოდ მათ მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს. „მტკიცებულებითი სტანდარტები, პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, განსაზღვრავენ მტკიცების ტვირთის „სიმძიმეს“ და რომელიმე მათგანის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა ვერ გაგრძელდება.“<sup>17</sup>

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს მტკიცების 4 სტანდარტს: დასაბუთებული ვარაუდის, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის, ალბათობის მაღალი ხარისხისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტებს.<sup>18</sup>

დასაბუთებული ვარაუდი არის „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა

---

<sup>15</sup> ი.ხ. ბოხაშვილი ი., "წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესში", თსუ-ს სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ. 308

<sup>16</sup> ი.ხ. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტის სამყარო“, თბილისი, 2014, გვ. 235

<sup>17</sup> ი.ხ. გიორგაძე გ., ბარამიძე ა., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014წ., გვ. 25

<sup>18</sup> დაწვრილებით ი.ხ. საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის:11, 11<sup>1</sup>, 12, 13 მუხლები



ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი“.<sup>19</sup>

„როგორც ვხედავთ, მტკიცების პროცესის დროს ყურადღების გამახვილება ხდება ე.წ. „ობიექტურ პირზე“, ობიექტურ დამკვირვებელზე, ანუ საშუალო, „ზოგადსტატისტიკურ“ ადამიანზე, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული განათლება ან საქმის გარემოებების ცოდნა; გონიერი ადამიანი, რომელიც პროცესს მიუკერძოებლად, სამართლიანად, ობიექტურად და ყოველგვარ ინტერესთა კონფლიქტის გარეშე უდგება.“<sup>20</sup>

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გამოიყენება საქმის გამოძიების ეტაპზე სხვადასხვა საგამოძიებო<sup>21</sup> მოქმედებების ჩასატარებლად თუ სხვა საპროცესო იძულებითი ღონისძიებების გამოსაყენებლად, ასევე, კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გამოიყენება საქმის არსებითი განხილვის და წინასასამართლო სხდომებზე, როდესაც ხდება მტკიცებულებების მოპოვების/წარდგენის

---

<sup>19</sup>ი.ხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009 წლის 9 ოქტომბერი (კონსოლიდირებული ვერსია 2021 წლის 11 იანვრის მდგომარეობით), მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

<sup>20</sup>გიორგაძე გ., ბარამიძე ა., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014წ. გვ. 26

<sup>21</sup> ამ მხრივ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამოძიების პროცედურა განსხვავდება, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების სსკ-ის საქმისწარმოებისაგან. კერძოდ, წინასწარ გამოძიებაში საქმეს ხელმძღვანელობს მაგისტრალი მოსამართლე, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად მოიწვიოს დასაკითხად პირები, რომლებსაც აქვთ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით რაიმე სახის გარემოებების შესახებ ინფორმაცია და მზად არიან დაიკითხონ მოწმეებად, ასევე დაკითხოს ბრალდებული და ჩაატაროს ექსპერტიზები. ი.ხ. JAMES W. GARNER, *CRIMINAL PROCEDURE IN FRANCE*, 25 YALE L.J. (1916). გვ. 256-257 დოკუმენტი ხელმისაწვდომია საიტზე: <http://digitalcommons.law.yale.edu/ylj/vol25/iss4/1/>; (ბოლო ნახვის თარიღი 25.01.2021) ახვეე ი.ხ. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილომონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ლიტერატურული რედ. ქეთევან შიუკაშვილი, გამომც. "მერიდიანი", თბილისი 2007, გვ. 424-447

კანონიერების დადგენა, ასევე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის და გაუქმების საკითხის განხილვა.<sup>22</sup>

სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების სტანდარტი, რომელიც გამოიყენება საპროცესო შეთანხმების დროს და გულისხმობს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას საქმის არსებითი განხილვის გარეშე. აღნიშნული მტკიცებულებითი სტანდარტი თავის თავში მოიაზრებს მტკიცებულებებს, რომლებიც დაარწმუნებს ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, უარს ამბობს საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე, ასევე, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს/ინფორმაციას. გარკვეულწილად, აღნიშნული სტანდარტი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს უტოლდება. ორივე სტანდარტით ხელმძღვანელობისას გადაწყვეტილებას იღებს ობიექტური პირი, რომელიც საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე წყვეტს პირის ბრალეულობას. განსხვავება ისაა, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას მოსამართლე მისთვის წარდგენილ მტკიცებულებებს მათი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე აფასებს.

ალბათობის მაღალი ხარისხი არის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლითაც მხოლოდ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ხელმძღვანელობს მაშინ, როდესაც პროკურორის მიერ წარდგენილი იმ ინფორმაციით, რომელსაც იგი წინასასამართლო სხდომის საწყის ეტაპზე დასაშვებად ცნობს წყვეტს სახეზე არის თუ არა ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი და აღნიშნული მოთხოვნების

---

<sup>22</sup>ი.ხ. საქართველოს სსსკ. 2009 წლის 9 ოქტომბერი, (კონსოლიდირებული ვერსია 2021 წლის 11 იანვრის მდგომარეობით), მე-20 თავი

დაკმაყოფილების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ.<sup>23</sup>

სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ხელმძღვანელობს მოსამართლე განაჩენის გამოტანის დროს. აღნიშნული სტანდარტი გამოიყენება საქმის არსებითი განხილვის დასასრულს. „გონივრული ეჭვის ზუსტად განსაზღვრა უაღრესად რთულია. გონივრული ეჭვი არის ეჭვი, რომელიც დამყარებულია გონებასა და საღ აზრზე და არ არის დამნაშავეობის უბრალო ალბათობა. გონივრული ეჭვი არის ისეთი ეჭვი, რომელიც გონიერ ადამიანს აიძულებს, დაეჭვდეს ამა თუ იმ ქმედებისას. შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს იმდენად დამაჯერებელი, რომ გონიერმა ადამიანმა შეძლოს მასზე დაყრდნობა და მის მიხედვით მოქმედება.“<sup>24</sup> აღნიშნული მტკიცებულებითი სტანდარტის დასაკმაყოფილებლად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოსამართლეს დამატებით მოთხოვნებს უწესებს: მე-13 მუხლის მიხედვით გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ უნდა იქნას ურთიერთშეთავსებად, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით. მხოლოდ ბრალდებულის აღიარება არაა საკმარისი მისი მსჯავრდებისთვის, ე.ი. მის ბრალეულობას პროკურორის მიერ წარდგენილი სხვა მტკიცებულებებიც უნდა ადასტურებდნენ. ასევე, ამ მუხლის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ირიბი ჩვენება ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.<sup>25</sup>

სსსკ-ის მე-10-მე-14 მუხლებიდან გამომდინარე პროცესი მიმდინარეობს საჯაროდ და ზეპირად, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეებს შეუძლიათ

---

<sup>23</sup>ი.ხ. საქართველოს სსსკ. 2009 წლის 9 ოქტომბერი, (კონსოლიდირებული ვერსია 2021 წლის 11 იანვრის მდგომარეობით), მე-3 მუხლის მე-12 ნაწილი, 221-ე მუხლის მე-5 ნაწ.

<sup>24</sup>ი.ხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 28

<sup>25</sup> ი.ხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/548 "საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

მოითხოვონ მოწმის დაკითხვა და სხვა მტკიცებულებების უშუალოდ გამოკვლევა. მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა დააყრდნოს ისეთ მტკიცებულებას, რომლის გამოკვლევაც სასამართლო სხდომაზე არ მომხდარა. თუ მოწმის დაკითხვა ვერ ხერხდება სსსკ-ის 114-ე მუხლიდან გამომდინარე, პროცესზე მის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება ქვეყნდება, რომელიც ვერ დაედება განაჩენს საფუძვლად, თუ იგი სხვა მტკიცებულებით არ დადასტურდება.<sup>26</sup>

ბრალდების მხარე<sup>27</sup> მის მიერ თავდაპირველად წარდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ითხოვს გამამტყუნებელ განაჩენს საქმის განხილვის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მან მტკიცებულებების წარდგენამდე უნდა შეაფასოს თავისი ინფორმაცია და გადაწყვიტოს დააკმაყოფილებს თუ არა ისინი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რადგან პროკურორს გამოძიების საწყის ეტაპზევე აქვს ვალდებულება სასამართლოს წარუდგინოს ისეთი სახის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ყველა სტანდარტის დაკმაყოფილებას შეძლებს, რადგან, მხოლოდ წინასასამართლოს სხდომამდე 5 დღით ადრე შეუძლიათ მხარეებს მტკიცებულებების მოპოვება/გაცვლა.

აღსანიშნავია, რომ ერთადერთი მოსამართლე, რომელსაც შეუძლია სამივე სტანდარტი გამოიყენოს ეს არის წინასასამართლო სხდომის მოსამართლე: მხოლოდ წინასასამართლო სხდომის ეტაპზეა შესაძლებელი სასამართლოს მიერ ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცების სტანდარტის გამოყენება; ამ ეტაპზე ხდება მტკიცებულებების დასაშვებობის შემოწმება და სავალდებულო წესით დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის

---

<sup>26</sup> ი.ხ. სსსკ-ის 118 და სსსკ-ის 243.1 მუხლები

<sup>27</sup> ინგლისის 1996 წლის 4 ივლისის "სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიების შესახებ" კანონით (Criminal Procedure and Investigations Act) ბრალდების მტკიცების ტვირთი აკისრია პროკურორს, რომელიც ვალდებულია მოიპოვოს მტკიცებულებები, გაუცვალოს ისინი დაცვის მხარეს, ხოლო დაცვის მხარე ვალდებულია მის მიერ მოპოვებული მასალები, მოწმეების პერსონალური მონაცემების და ალიბი მოწმის ვინაობის მითითებით გადასცეს ბრალდების მხარეს. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საიტზე: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/25/contents>

გამოყენებაც თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა<sup>28</sup>; ასევე, მას შეუძლია განაჩენის დადგენა საპროცესო შეთანხმების დროს.

### 1.3 დასაბუთებული ვარაუდის ცნება, არსი და დანიშნულება

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მისი წინამორბედისაგან განსხვავებით იცნობს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ორ ეტაპს. ესენია: გამოძიება და საქმის სასამართლოში განხილვა. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს წინასწარი გამოძიების ინსტიტუტს და დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, პროკურორი, გამომძიებელი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება. კანონი არ მიუთითებს რაიმე სახის მტკიცებულებით სტანდარტზე, რის საფუძველზეც გამოძიება დაიწყება. გამოძიება იწყება ნებისმიერი დანაშაულის შემცველი ინფორმაციის საფუძველზე და მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, შესაბამისი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, გამოძიება არის „უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება“. სწორედ გამოძიების დაწყების შემდეგ, გამოსაძიებელი სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შესაგროვებლად გამოძიების ორგანო ატარებს სხვადასხვა სახის საგამომძიებო მოქმედებებს, მათ შორის ისეთს, რომელიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. აღნიშნული მოქმედებების ჩატარებისათვის კანონმდებლის მიერ დადგენილია სწორედ დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტი, რათა

---

<sup>28</sup> ი.ხ. საქართველოს სსსკ. 2009 წლის 9 ოქტომბერი, (კონსოლიდირებული ვერსია 2021 წლის 11 იანვრის მდგომარეობით), 219-ე მუხლის მე-4 ნაწილი

უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად არ მოხდეს ამ ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა და აღკვეთოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლო თვითნებობის რისკები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი არის „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისთვის ანდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი“. როგორც დასაბუთებული ვარაუდის საკანონმდებლო დეფინიციიდან ნათლად ჩანს, ადამიანის უფლებების შემზღუდავი საგამომიებო მოქმედებების, საპროცესო იძულების ღონისძიების სახით დაკავების და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია გარკვეული რაოდენობის (ერთზე მეტი) ფაქტი, გარკვეული რაოდენობის (ერთზე მეტი) ინფორმაცია ანდა ორივე მათგანი ერთდროულად. ამასთან, ამ სტანდარტის დასაკმაყოფილებლად გასათვალისწინებელია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ინდივიდუალური გარემოებები, კონტექსტი და ისიც, თუ კონკრეტულად რომელი საგამომიებო/საპროცესო მოქმედება ტარდება.

სხვადასხვა საკანონმდებლო და საერთაშორისო სამართლებრივი აქტი იცნობს მსგავს მტკიცებულებით სტანდარტს და მათ სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებს. მაგალითად, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს ტერმინს „გონივრული ეჭვი“<sup>29</sup>. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი თავისუფლების უფლების შეზღუდვის

---

<sup>29</sup> ი.ხ. საქართველოს სსკ. 1998 წლის 20 თებერვალი (24/12/2014 მდგომარეობით), 44-ე მუხლის 23 პრიმა ნაწილი.

საფუძვლებს ჩამოთვლის და c ქვეპუნქტში მითითებულია „სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიან ეჭვზე“.

გონივრული ეჭვის კონცეფცია სასამართლოს მიერ განისაზღვრა საქმეში „ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, როგორც ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირს შეეძლო ჩადენა სამართალდარღვევა, ხოლო ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „გონივრულად“, დამოკიდებულია ყველა სათანადო გარემოებაზე. გონივრული ეჭვის არსებობის აუცილებლობის მოთხოვნაა ასახული საგამომიებო მოქმედების ჩატარების დროსაც საქმეში „გილანი და კვინტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სადაც აღნიშნულია, რომ სამართალდარღვევის გამო პირთა შეჩერებისა და ჩხრეკის უფლება ყოველგვარი დასაბუთებული ეჭვის გარეშე მიჩნეულია დარღვევად.<sup>30</sup>

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ „საფუძვლიან ეჭვთან“ მიმართებით განსხვავდება „ეჭვი“ მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობის ფარგლებში, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს ვარაუდის ან მიხვედრილობის მდგომარეობას, რა დროსაც არ არსებობს ობიექტური პირის დასაკმაყოფილებლად საჭირო მტკიცებულებები. ეჭვი საკმარისია მხოლოდ გამომიების დასაწყებად, რათა შემდგომ მოხდეს *prima facie* მტკიცებულებების მოპოვება. ამასთან, ევროსასამართლოს ძირითადი მოთხოვნაა გამომიების სიცხადე და დამაჯერებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის მიღების შემდეგ თავდაპირველი რეაგირება შესაძლოა, ზოგადი ეჭვის საფუძველზე მოხდეს, ანუ გამომიების დაწყებას საფუძვლად დაედოს მხოლოდ ზოგადი ვარაუდი, ყველა სხვა თანმდევი საგამომიებო მოქმედება თუ შემდგომში შედგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს დამაჯერებელი და

---

<sup>30</sup> ი.ხ. მალაკელიძე ლ., კერატიშვილი გ., „გამომიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით“, სახელმძღვანელო „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო, სამართალზე“, გამომც. მერიდიანი, თბილისი 2019წ. გვ. 346

მიმართებოდეს მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ობიექტური რეალობის დასადგენად.<sup>31</sup>

„დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომელიც ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობას უკავშირდება, სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულ თითოეულ მოქმედებასთან მიმართებით. კერძოდ, როგორც ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების, ისე დაკავებისა თუ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობის შეფასებისას, სასამართლო ფორმალურად ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ობიექტური პირის დასაკმაყოფილებლად არსებული ფაქტები თუ ინფორმაცია ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ხარისხობრივად ერთი და იგივეა. მაგალითად, ჩხრეკის ჩასატარებლად საკმარისი ინფორმაციის ერთობლიობა არასაკმარისია პირის დასაკავებლად, მით უფრო, მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად.“<sup>32</sup>

როგორც აღინიშნა, გამოძიების პროცესში ადამიანის უფლებების დარღვევის რისკის გათვალისწინებით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საკანონმდებლო დეფინიციაში მოცემულია შემდეგი გარანტიები: რაოდენობრივად ერთზე მეტი ფაქტი ანდა ინფორმაცია (ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა), ობიექტური დამკვირვებლის ელემენტი და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებები. ეს უკანასკნელი კი თავის თავში მოიაზრებს სავარაუდო დანაშაულის ხასიათს, სავარაუდო დანაშაულის ჩადენის და გამოძიების დაწყების დროს, მოსაპოვებელი ინფორმაციის/დასამძებნი ან ამოსაღები ნივთის, დასაკავებელი პირის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, გამოძიების ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან სხვა ინფორმაციის ან მტკიცებულების, ადამიანის უფლებების

<sup>31</sup> ი.ხ. მაღლაკელიძე ლ., კერატიშვილი გ., ზემოთ დასახელებული ნაშრომი გვ. 347

<sup>32</sup> ი.ხ. მაღლაკელიძე ლ., კერატიშვილი გ., ზემოთ დასახელებული ნაშრომი გვ. 347



ნაკლებად მზლუდავი საშუალებებით გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვების ობიექტურ შესაძლებლობას და სხვა მსგავს გარემოებებს. „სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილით, ობიექტურ პირზე მითითება აძლევს საკმარის სახლმძღვანელო პრინციპს მოსამართლეს, რათა დაასკვნას, რომ პატიმრობის გამოყენება შესაძლებელია არა სუბიექტური ეჭვის, არამედ მყარი, ობიექტურ გარემოებებზე დაფუძნებული ვარაუდის არსებობის პირობებში“.<sup>33</sup> იგივე შეიძლება ითქვას სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებზე, რომელიც სასამართლოს წინასწარი ნებართვის ან შემდგომი კონტროლის პირობებში ხორციელდება. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო დონეზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი საკმარის გარანტიებს შეიცავს ადამიანის უფლებების დაცვისთვის და საგამოძიებო ორგანოს და სასამართლოს მხრიდან მისი სწორად და კეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევაში ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

## **2. ცალკეულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა ჩატარების მტკიცებულებითი სტანდარტი**

### **2.1 ჩხრეკისა და ამოღების ურთიერთმიმართება და შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტი**

ჩხრეკა და ამოღება ქართულ საგამოძიებო პრაქტიკაში ძალზედ გავრცელებული საგამოძიებო მოქმედებებია და მათ ჩატარების გზით ხშირია გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება. აღნიშნულიდან გამომდინარე,

---

<sup>33</sup> ი.ხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარაგრაფი 67

მნიშვნელოვანია მათი ჩატარება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში, რათა სასამართლოს კონტროლის გავლისას არ მოხდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი“. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა“. ამავე კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „პროკურორს, გამომძიებელს, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვთ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული წესით პირადი ჩხრეკით ამოიღონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღმოჩენილია პირის ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთში ან სატრანსპორტო საშუალებაში, სხეულზე ან სხეულში“. ყველა დასახელებული საგანმომიებო მოქმედებისათვის დადგენილია ერთი და იგივე მტკიცებულებითი სტანდარტი - დასაბუთებული ვარაუდი, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებითი სტანდარტი მიემართება სხვადასხვა მოცემულობას. ამოღების შემთხვევაში გამოძიების მიერ მოპოვებული ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა უნდა მიუთითებდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ნივთის კონკრეტული ადისამყოფელის შესახებ და ასევე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა იყოს დადგენილი, რომ მისი ძებნა საჭირო არ არის.

ჩხრეკის შემთხვევაში ერთადერთ განმასხვავებელ გარემოებას სწორედ ძებნის საჭიროება წარმოადგენს. აღნიშნული საგამომიებო მოქმედებების ურთიერთგამიჯვნა მათი ჩატარებისათვის დადგენილი მტკიცებულებითი სტანდარტის კონტექსტში მნიშვნელოვანია. აღნიშნულზე მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია თავის 2015 წლის 11 თებერვლის განჩინებაში (საქმე N18/139) და განმარტავს: „სისხლის სამართლის საქმეზე ჩხრეკისა და ამოღების ჩასატარებლად დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი იდენტური არ არის. იმისათვის, რომ ამოღების ჩასატარებლად საკმარისი დასაბუთებული ვარაუდი იყოს სახეზე, უნდა არსებობდეს ინფორმაცია ამოსაღები ობიექტის ამა თუ იმ ადგილზე, ამა თუ იმ პირთან არსებობის შესახებ და იმავდროულად მის დასაძებნად დამატებითი ძალისხმევა არ უნდა იყოს საჭირო. აღნიშნულისგან განსხვავებით, ჩხრეკის ჩატარება შედარებით განსხვავებულ სტანდარტს უწყებს შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს და გულისხმობს არა მარტო იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომ ამოსაღები ობიექტი იმყოფება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან, არამედ იმის მითითებასაც, რომ მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა, რაც გამყარებული უნდა იყოს შუამდგომლობაზე თანდართული დოკუმენტებით. ამოღებისაგან განსხვავებით, ჩხრეკა უფრო მეტად ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამიტომ, მოსამართლე ერთნაირი საზომით ვერ მიუდგება ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობათა გადაწყვეტას“. აღნიშნული განჩინებიდან ნათლად ჩანს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სწორი და შესაფერისი საგამომიებო მოქმედების შერჩევას, რადგან გამოძიების სტადიაზე სახელმძღვანელო სტანდარტს სხვადასხვა საგამომიებო მოქმედებების შემთხვევაში, განსხვავებული მიმართულება აქვს და არასწორად შერჩევის პირობებში შესაბამის, მხარისათვის უარყოფით სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ ჩხრეკა ან ამოღება სასამართლოს განჩინებით

ტარდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დასადგენია მხოლოდ ზემოთ აღნიშნული გარემოებები, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დამატებით, კვლავ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა დადასტურდეს, რომ შეკრებილი ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს რათა დაესკვნა, რომ სასამართლოს განჩინებისათვის დალოდების შემთხვევაში დაყოვნებამ (გათვალისწინებული უნდა იქნეს სასამართლოს განჩინების გაცემის მაქსიმალური ვადა - 24 საათი) შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახდება აღნიშნული მონაცემების მოპოვება.<sup>34</sup> სწორედ აღნიშნული პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს გამომძიებელმა/პროკურორმა გადაწყვეტილების მიღებისას - ჩაატაროს საგამომიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, თუ მიმართოს სასამართლოს შესაბამისი განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

ჩხრეკის ჩატარებისას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის მოქმედების კონტექსტში მნიშვნელოვანია ასევე გამომძიებლის უფლებამოსილება პირადი ჩხრეკა ჩაუტაროს ჩხრეკის ადგილზე მყოფ პირს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამალა ამოსაღები საგანი. (სსსკ-ის 120-ე მუხლისმე-8 ნაწილი). მაგალითად, საცხოვრებელ სახლში ტარდება ჩხრეკა და იძებნება სხვადასხვა დასახლების ნარკოტიკული საშუალებები. ჩხრეკის ადგილზე მყოფი ერთ-ერთი პირი უახლოვდება ერთ-ერთ სათავსოს და იღებს გარკვეულ საგანს. ამ შემთხვევაში, შეკრებილი ფაქტების/ინფორმაციის და მოცემული საქმის გარემოებებით დასაბუთებულია ვარაუდი, რომ მან შესაძლოა დამალა ამოსაღები საგანი და გამომძიებელი უფლებამოსილია მას ჩაუტაროს პირადი ჩხრეკა. რათქმაუნდა, მსგავს შემთხვევებში, საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გარკვეულ

---

<sup>34</sup> ი.ხ. საქართველოს სსსკ. 2009 წლის 9 ოქტომბერი, (კონსოლიდირებული ვერსია 2021 წლის 11 იანვრის მდგომარეობით), 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი

როლს თამაშობს მიმდინარე მოვლენების სუბიექტური აღქმა, თუმცა თუ გადაწყვეტილება რაიმე ობიექტურ კრიტერიუმებს არ ემყარება, ეს ჩატარებული საგამომიებო მოქმედების უკანონოდ ცნობას გამოიწვევს.

რაც შეეხება პირად ჩხრეკას, ამ შემთხვევაში შესაბამისი სტანდარტით დასადგენ გარემოებას წარმოადგენს კონკრეტული ნივთის კონკრეტული პირის მფლობელობაში (ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთში, სატრანსპორტო საშუალებაში, სხეულზე, სხეულში) არსებობის ფაქტი და მისი ძეგნის ელემენტი. აღნიშნული საგამომიებო მოქმედებები, განსაკუთრებით ჩხრეკა და პირადი ჩხრეკა ინტენსიურად იჭრება ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში და შესაბამისად მათზე დაწესებულია მკაცრი სასამართლო კონტროლის მექანიზმები.<sup>35</sup>

ბუნებრივია, როგორც სხვა შემთხვევებში შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა სახის მტკიცებულებებია საჭირო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაქმნელად, რომ მაგალითად კონკრეტულ ობიექტზე ჩატარდეს ჩხრეკა ან ამოღება, ან კონკრეტულ პირს ჩაუტარდეს პირადი ჩხრეკა. აღნიშნული დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ინდივიდუალურ, ფაქტობრივ გარემოებებზე და რაც მთავარია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე მსჯელობისას შეკრებილი ფაქტების ან ინფორმაციის პარალელურად გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული საქმის გარემოებათა ერთობლიობა, რაც პირდაპირ არის მითითებული სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილში. კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია სახეზე არ იყოს საკამარისი რაოდენობის მტკიცებულებები დასკვნის გასაკეთებლად, თუმცა საქმის გარემოებათა ერთობლიობით, საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით და ერთობლივი ანალიზით ობიექტური,

---

<sup>35</sup> ი.ხ. საქართველოს სსსკ. 2009 წლის 9 ოქტომბერი, (კონსოლიდირებული ვერსია 2021 წლის 11 იანვრის მდგომარეობით), 112-ე მუხლი

ნეიტრალური დამკვერვებელი მივიდეს დასკვნამდე, რომ კონკრეტულ ადგილზე შესაძლებელია ინახებოდეს გამოიებისათვის საინტერესო ესა თუ ის ნივთი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

როგორც უკვე აღინიშნა, დასაბუთებული ვარაუდი გამოძიების მწარმოებელი ორგანოს/პირისათვის სახელმძღვანელო სტანდარტია, რომლის საფუძველზეც ტარდება ესა თუ ის საგამოძიებო მოქმედება და მოიპოვება მტკიცებულებები. მტკიცებულებების შეგროვება და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვა ბუნებრივია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების შემდეგ არის შესაძლებელი. სსსკ-ის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება“. ამავე კოდექსის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, „გამომძიებელი უფლებამოსილია ანონიმური შეტყობინების საფუძველზე დაიწყოს გამოძიება. დაუშვებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური შეტყობინების საფუძველზე“. დანაშაულის შესახებ ინფორმაცია გამომძიებელმა შესაძლოა სხვადასხვა წყაროდან მიიღოს, მათ შორის შესაძლებელია იყოს ე.წ. „ოპერატიული ინფორმაცია“. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ასეთი ტიპის ინფორმაციის მიმწოდებელ სუბიექტებს. ესენია: საიდუმლო თანამშრომელი (კონფიდენტი) და ინფორმაციის მიმწოდებელი წყარო, რომელიც არ არის საიდუმლო თანამშრომელი.<sup>36</sup> ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი საიდუმლო თანამშრომლის ან ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროს გახმაურება-გამჟღავნება აკრძალულია გასული დროის მიუხედავად, გარდა კანონით გათვალისწინებული

---

<sup>36</sup> ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, 30 აპრილი 1999 წელი (2021 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით). პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პარაგრაფი 12;

შემთხვევებისა“. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში პრობლემატურია და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანიც გახდა<sup>37</sup> ე.წ „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შემზღვევადი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საკითხი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე - გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავს ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძველად საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით; კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც უშვებს ჩხრეკის ჩატარებას ოპერატიული წყაროს („კონფიდენტი“, „ინფორმანტი“) ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული სათანადოდ გადამოწმებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლთან მიმართებით. სასამართლომ დეტალურად იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლების შეზღუდვის სახელმძღვანელო სტანდარტებზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ სათანადოდ გადამოწმებული „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის ჩატარების შესაძლებლობა აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებულ პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ფორმალურ და

---

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

მატერიალურ კრიტერიუმებს. სასამართლო განმარტავს, „ოპერატიული ინფორმაციის“ სანდოობის კრიტერიუმებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადოდ გადამოწმებული და დამაჯერებელი „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე უშვებს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოსაპოვებლად, საგამომიებო მოქმედების ჩატარების გზით საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებული უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ „ოპერატიული ინფორმაციის“ წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის ჩატარების შესაძლებლობა განმარტა შემდეგნაირად: „იმისათვის, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე პირის ჩხრეკა კონსტიტუციური გარანტიების დაცვით განხორციელდეს, უნდა არსებობდეს გარემოებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს შეუქმნიდა გონივრულ ვარაუდს, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ნივთი ინახება კონკრეტულ პირთან ან კონკრეტულ ადგილზე და მის მოსაპოვებლად საჭიროა ძებნა. როგორც აღინიშნა, იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი საქმე ინდივიდუალურია, შეუძლებელია იმის ამომწურავად განსაზღვრა, თუ რა გარემოებები შექმნის ან უნდა შექმნას ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების სათანადო მოლოდინი, თუმცა აუცილებელია, რომ ეს გარემოებები რაციონალურად მოაზროვნე ნეიტრალურ დამკვირვებელს ჩხრეკის ჩატარების გონივრულობაზე მიანიშნებდეს.“<sup>38</sup> აღნიშნული განმარტება სავსებით მისაღებია და სრულად უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის ინტერესსა და გამომიებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესს შორის გონივრული ბალანსის არსებობას. რამდენად სანდო და დამაჯერებელია ეს ინფორმაცია უნდა გადაწყდეს საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, თუმცა არავითარ შემთხვევაში საგამომიებო მოქმედების შედეგების შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო

---

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პარაგრაფი 52;



სასამართლომ განმარტა, რომ „მოსამართლემ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების შემოწმებისას ის ფაქტობრივი გარემოებები უნდა მიიღოს მხედველობაში, რომელიც მის დაწყებამდე არსებობდა. ჩხრეკის ჩატარებამდე მოსამართლის ბრძანების მიღების შეუძლებლობა, ბუნებრივია, არ ამარტივებს სამართალდამცავთა მტკიცების ტვირთს, ისინი უნდა მოქმედებდნენ იმ დაშვებით, რომ ჩხრეკის დაწყებამდე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსამართლე ჩხრეკის ბრძანებას გასცემდა, ხოლო, თუ სამართალდამცავი ამ სტანდარტს გადაუხვევს, ჩხრეკა უკანონოდ უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების ფაქტი არარელევანტური გარემოებაა იმის გადამოწმებისას, თუ რამდენად სწორად აფასებდა სამართალდამცავი ჩხრეკის ჩატარებამდე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ფაქტს. შესაბამისად, კონკრეტული ჩხრეკის ჩატარების საჭიროების/აუცილებლობის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს ამავე ჩხრეკის შედეგად სათანადო მტკიცებულებების მოპოვების ფაქტი.“<sup>39</sup>

„ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე ადამიანის უფლებების შემზღვეველი საგამომიებო მოქმედების ჩატარება განსხვავებულ სამართლებრივ მოცემულობას წარმოადგენს, რადგან ერთი შეხედვით სახეზე გვაქვს საკმაოდ დეტალური (თუმცა მხოლოდ ერთი) ინფორმაცია, და მეორეს მხრივ დაუყოვნებლივი, მყისიერი მოქმედების აუცილებლობა და საფრთხე, რომელიც აღნიშნული საგამომიებო მოქმედების ჩატარებლობით მიადგება სამართალდამცავი ორგანოების მიერ დასაცავ სიკეთეს, მათ შორის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, და ზოგადად საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. აღნიშნული ძირითადად ვრცელდება ცეცხლსასროლი იარაღით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას პირის გადაადგილების შესახებ

---

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პარაგრაფი 73;

„ოპერატიული ინფორმაციის“ მიღების შემთხვევებზე. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს „საფრთხის“ ცნების განმარტებას, თუმცა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი შეიცავს საფრთხის ელემენტებს და საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად „ოპერატიული ინფორმაციის“ საკამრისობაზე იმსჯელა. 2013 წლის 4 ოქტომბრის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საფრთხე არის „ვითარება, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში დიდი ალბათობით ზიანი მიადგება პოლიციის მიერ დასაცავ სიკეთეს. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი განმარტავს, შესაბამის მტკიცებულებით სტანდარტს - „საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის“. აღნიშნული სტანდარტებით ხელმძღვანელობს პოლიციელი შესაბამისი საპოლიციო ღონისძიებების ჩატარებისას, რომელიც თავის მხრივ ნაკლები ინტენსივობით იწვევს ადამიანის უფლებების შეზღუდვას და მასზე უფრო დაბალი სტანდარტია დადგენილი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკამრისია თუ არა „ოპერატიული ინფორმაცია“ თავისი შინაარსით შესაბამისი საგამომიებო მოქმედების ჩხრეკის ან პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად, უნდა შეფასდეს იმის გათვალისწინებით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად ჰქონდა საგამომიებო ორგანოს დრო და საშუალება იმისა, ადამიანის უფლებების ნაკლებად მზღუდავი საშუალებით, მოეპოვებინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება და ზიანი არ მისდგომოდა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

ამავე გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის კონკრეტული ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, თუმცა აღნიშნული საკითხი სცდება

წარმოდგენილი კვლევის მიზნებს და მასზე დეტალურად აღარ შევჩერდები.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა შემზღვეველი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას პირველ რიგში უმნიშვნელოვანესია უფლებამოსილმა პირმა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, თუ რომელი საგამოძიებო მოქმედების გზითაა შესაძლებელი საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება და საქმის გარემოებების შესაბამისად გადაწყვიტოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის მიმართება კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებასთან. ასევე პირველ რიგში უპირატესობა მიენიჭოს უფლების ნაკლები ინტენსივობით შემზღვევა საგამოძიებო მოქმედების გზით გამოძიების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას და საჭირო ინფორმაციის მოპოვებას. ამასთან, აუცილებელია სწორად იქნეს შეფასებული გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და იმაზე მეტად არ მოხდეს კონკრეტულ პირთა უფლებების შეზღუდვა, ვიდრე ეს აუცილებელია მტკიცებულების შემდგომი (სასამართლოს განჩინებით) მოპოვების შეუძლებლობის საფრთხის აღსაკვეთად.

## **2.2 სისხლისამართლბრივი დევნის დაწყება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე**

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“. დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე პირის ბრალდების კონსტიტუციური დებულება პრინციპის

დონეზეა განმტკიცებული საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლში, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული“. პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. (სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი პუნქტი). როგორც უკვე აღინიშნა, ცალკეული საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების შემთხვევაში დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი ფაქტების ანდა ინფორმაციის ერთობლიობა ხარისხობრივად ერთი და იგივე ვერ იქნება, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვა ინტენსივობით ხდება ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით დასაბუთებული ვარაუდი განმარტებულია როგორც ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, ხოლო სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილი პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველად მტკიცებულებათა ერთობლიობას მოიაზრებს. ერთი შეხედვით აღნიშნულ ტერმინებს შორის შეუსაბამობაა, თუმცა აღნიშნული საკითხის გასარკვევად, კვლავ საპროცესო კანონმდებლობის სხვა ნორმების ანალიზი უნდა მოვახდინოთ.<sup>40</sup> აღნიშნული ტერმინოლოგიური გაუგებრობა თავად მტკიცებულების საკანონმდებლო დეფინიციით უნდა აიხსნას. სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულება არის „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი.....“. ამ განმარტებიდან გამომდინარე, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამოძიების სტადიაზე მოპოვებული „მტკიცებულება“, მაგალითად მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ვიდეოჩანაწერის

<sup>40</sup> შედარებისთვის იხილეთ - ფაფიაშვილს ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძეს დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ. - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015 წლის 1 ოქტომბერი. გვ. 494

დათვალიერების ოქმი, ამოღებული ნარკოტიკული საშუალება და ა.შ არ არის მტკიცებულება. ის მიიჩნევა ინფორმაციის შემცველ დოკუმენტად, საგნად და ა.შ, მანამ, სანამ წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არ ცნობს მათ დასაშვებ მტკიცებულებებად. შინაარსობრივი თვალსაზრისით და თავისი არსით, დასახელებული საპროცესო დოკუმენტები ბუნებრივია წარმოადგენს მტკიცებულებას. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტში მოაზრებული ფაქტები და ინფორმაცია ბუნებრივია მტკიცებულების სახითაა წარმოდგენილი. მტკიცებულება არის საპროცესო ფორმა, რომლითაც ეს ინფორმაცია გადმოიცემა და პროცესუალურად სისხლის სამართლის საქმის შემადგენელი ნაწილია. გამოსაძიებელ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერ ფაქტი ანდა ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულების სახით არის წარმოდგენილი, შესაბამისად მსჯელობა იმის შესახებ, რომ დასაბუთებული ვარაუდის საკანონმდებლო დეფინიციიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი შეიძლება თუ არა გახდეს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა ან ერთ მტკიცებულებაში გადმოცემული რამდენიმე ფაქტი ანდა რამდენიმე ინფორმაცია, აზრსმოკლებულია. ცალსახაა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი არის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. არ არსებობს კონკრეტული ფორმულა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს სახეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას.<sup>41</sup> აღნიშნული მრავალ ფაქტორზე და უპირველეს ყოვლისა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე დამოკიდებული. თუ ერთ შემთხვევაში კონკრეტული ტიპის მტკიცებულებები სისხლისსამართლებრივი დევნის დასაყებად

---

<sup>41</sup> შედარებისთვის იხილეთ - ავტორთა კოლექტივი - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015 წლის 1 ოქტომბერი. გვ. 494

საკმარისია, სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, განსხვავებული დანაშაულის კვალიფიკაციით შესაძლოა არ იყოს საკმარისი. სხვადასხვა დანაშაულის საქმეზე, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით სხვადასხვა სახის გარემოებები უნდა იყოს აუცილებლად დადგენილი, რათა სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს კონკრეტული პირის/პირების მიმართ.

აქვე აღსანიშნავია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნული გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით (2015 წლის 22 იანვარს მოქმედი რედაქცია) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ირიბი ჩვენება არ არის სანდო მტკიცებულება და არ შეიძლება გახდეს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ცალკეულ შემთხვევაში ირიბი ჩვენების სანდოობა შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს, არაფერი გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ირიბი ჩვენების წყარო ცდებოდეს ან განზრახ ცრუობდეს. აქედან გამომდინარე, არსებობს იმის წინა პირობები, რომ ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, მისი სათანადო შემოწმების, ეჭვების გამორიცხვის გარეშე, საფუძველად დაედოს პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას. მტკიცებულებათა ერთობლიობის დასაბუთებულ ვარაუდს მიღმა შემოწმების კანონით გათვალისწინებული სტანდარტი ვერ გამორიცხავს იმ საფრთხეებს, რომლებიც ირიბი ჩვენების,

როგორც საქმისთვის მნიშვნელოვანი ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულების საფუძველზე პირის ბრალდებას იწვევს. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ პირის ბრალდებულად ცნობა შეიძლება მოხდეს ისეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც არ აკმაყოფილებს კონსტიტუციით დადგენილ უტყუარობის სტანდარტს“. სსსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის თანამხად, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მოცემულია ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები. ირიბი ჩვენების მტკიცებულებითი ძალა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ დასახელებულ გადაწყვეტილებამდეც არ აკმაყოფილებდა უტყუარობის სტანდარტს და ამაზე ზემოთ მოყვანილი კონსტიტუციური დებულებები და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული არაერთი პრინციპი მიუთითებს. თავდაპირველად, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საგამომიებო ორგანოს არ ართმევს უფლებას მოიპოვოს ასეთი მტკიცებულება (ირიბი ჩვენება), თუმცა არაკონსტიტუციურად მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ირიბი ჩვენების საფუძველზე. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, მათ შორის ირიბი ჩვენების საფუძველზე შესაძლოა შეიქმნას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი და ჩატარდეს ესა თუ ის საგამომიებო მოქმედება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირდაპირ მიემართება და განმარტავს დასაბუთებული ვარაუდის კონკრეტულ ნორმატიულ შინაარსს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნებისათვის ირიბი ჩვენებები ვერ შექმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს და ვერ დაედება საფუძვლად ბრალდებას.

## **2.3 სასამართლოს განჩინებით პირის დაკავებისათვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტი**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლით დაცულია ადამიანის თავისუფლება და ხელშეუხებლობა. ისინი არ არიან აბსოლუტური ხასიათის უფლებები და მათი შეზღუდვა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანონით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, წინასწარ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. საქართველოს სსსკ-ის მეოთხე მუხლის მე-3 ნაწილი უშვებს სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულების მეთოდების გამოყენებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული იძულების ღონისძიებები არ უკავშირდება პირის წამებას ან რაიმე სახით მისი ღირსების დამცირებას და ასევე, ისინი გამოიყენება სასამართლოს კონტროლის ქვეშ ან ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ გაცემული ნებართვით. ამასთან, ისინი პირდაპირ გათვალისწინებულია საპროცესო კანონით, როგორც საპროცესო იძულების ღონისძიებები (მაგ., დაკავება, ნიმუშის აღება, იძულებით მოყვანა საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიების შეფარდება და ა.შ.).<sup>42</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის მიხედვით კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად პირს „პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა. საქართველოს სსსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა.<sup>43</sup>

---

<sup>42</sup> ი.ხ. მაღლაკელიძე ლ., კერატიშვილი გ., „გამოძიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით“, სახელმძღვანელო „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო, სამართალზე“, გამომც. მერიდიანი, თბილისი 2019წ. გვ. 344

<sup>43</sup> დროის სიმცირის მიუხედავად თავისუფლების ამგვარი შეზღუდვა განსხვავდება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული



„პირი დაკავებულად ითვლება, როდესაც უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას.“<sup>44</sup> საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაკავების საფუძველია : 1. დასაბუთებული ვარაუდი (გონივრული ეჭვი), რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული; 2. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახით უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთასა და 3. ამასთან ერთად უნდა არსებობდეს რეალური საფრთხე(ები), რომ: 1. პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში; ან/და 2. გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან/და 3. ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

„ვინაიდან ეჭვი და ვარაუდი, ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულებაა და არ არის კანონმდებლის მიერ ამომწურავად განსაზღვრებადი კატეგორია, გაჩნდება თუ არა ის, დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მრავალი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობაზე... ვარაუდი დასაბუთებულია, თუ არსებობს ობიექტური ბმა დანაშაულსა და დაკავებულ პირს შორის; ობიექტური გარემოებები, მონაცემები, რომლებიც შექმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჩადენილია დანაშაული და ეს დანაშაული ჩადენილია სწორედ იმ პირის მიერ, რომელსაც აკავებენ“.<sup>45</sup>

„ცალსახაა, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი განხილული უნდა იქნას დაკავებისა და პატიმრობის როგორც ფორმალურ, ისე ფაქტობრივ

---

ზედაპირული შემოწმების მიზნით არაუმეტეს 30 წუთიანი შეჩერებისგან. დეტალურად ი.ხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები დავით-მიხეილი შუბლაძე და ლევან იზორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

<sup>44</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/3/182,185,191, 29/01/2003, I.; ბუზაჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ (ბუზაძე ვ. ლეპუბლიც ოფ მოლდოვა), განაცხადი ნო. 23755/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება, პუნქტი 88.

<sup>45</sup> ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კ. კორკელია, თბ., 2010წ., 173.

საფუძვლებთან ერთობლიობაში. იგი გულისხმობს ინფორმაციის ერთობლიობაზე დაფუძნებულ არა ზოგად და აბსტრაქტულ ვარაუდს, არამედ კონკრეტული, კანონის თანახმად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე წარმოშობილ დასაბუთებულ ვარაუდს, რომელიც საკმარისია ობიექტური პირის დასაკმაყოფილებლად, რათა გამოტანილ იქნას დასკვნა ბრალდებულის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე.<sup>46</sup> ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, დაკავება შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში ვერ იქნება მიღწეული შესაბამისი მიზანი.<sup>47</sup>

საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლით დადგენილია პირის დაკავების შესახებ საპროცესო გადაწყვეტილების მიღების ორი გზა: სასამართლოს განჩინების საფუძველზე და განჩინების გარეშე პირის დაკავება. პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მაგისტრტი მოსამართლე გამოძიების ადგილის მიხედვით. პირის დაკავების შესახებ შუამდგომლობის შეტანა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ პროკურორს, გამონაკლის შემთხვევაში და კანონით დადგენილი წესით. შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორმა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა დაამტკიცოს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.<sup>48</sup> კანონი არ ითვალისწინებს მტკიცებულებათა იერარქიას, ასევე არ არის წინასწარ გაწერილი თუ რომელი მტკიცებულებები ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. შესაბამისად, პროკურორმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში

---

<sup>46</sup> მაღლაკელიძე ლ., კერატიშვილი გ. „გამოძიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით“, სახელმძღვანელო „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო, სამართალზე“, გამომც. მერიდიანი, თბილისი 2019წ. გვ. 346.

<sup>47</sup> Saadi v. UK 2008, განაცხადი N 13229/03, §69.

<sup>48</sup> არუთიუნიანი რუსეთის წინააღმდეგ (Arutyunyan v. Russia), განაცხადი no. 48977/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, პუნქტი 99.

უნდა განიხილოს საქმე და გადაწყვიტოს აქვს თუ არა სახეზე საკმარისი მტკიცებულებები ვარაუდისთვის, რომ აღნიშნულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. შესაძლოა პირის დაკავების შესახებ განჩინება აღებული იყოს სხვა კვალიფიკაციით, მაგრამ საბოლოოდ სხვა კვალიფიკაციით წარედგინოს ბრალდება. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მომიჯნავე დანაშაულების განმასხვავებელი ესა თუ ის ობიექტური გარემოება ანდა განზრახვის მიმართულება შესაძლოა გამოიკვეთოს ბრალდებულის გამოკითხვის შემდგომ. ამას გარდა, შესაძლოა ბრალდებულის დაკავებისას აღმოჩენილი იყოს ისეთი გარემოება, რომელიც დამატებით სხვა მუხლით იწვევდეს დანაშაულის კვალიფიკაციას და ამ ეტაპიდან დაიწყოს ახალ გარემოებებზე მტკიცებულებების მოძიება.

მას შემდგომ, რაც პროკურორი შუამდგომლობაში დაადასტურებს, რომ არსებობს პირის დაკავების ფაქტობრივი საფუძველი მან უნდა დაადასტუროს რომ პირის დაკავება აუცილებელია, რადგან თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში პირი მიიძალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში; ან/და გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან/და ჩაიდენს ახალ დანაშაულს.<sup>49</sup>

პროკურორმა კონკრეტული გარემოებების არსებობისას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა დაამტკიცოს, რომ სახეზეა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც დასაბუთებული ვარაუდით დაამტკიცებს, რომ სახეზეა პირის მიმალვის და სასამართლოში გამოცხადებისგან თავის არიდების რეალური საფრთხე. პროკურორმა უნდა მიუთითოს, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ბრალდებულს დაენიშნება, ისეთი სახის სასჯელი, რაც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთასთან პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ამდენად მოსალოდნელი მკაცრი

---

<sup>49</sup> ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ (Letellier v. France), განაცხადი no. 12369/86, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტი 36.; Becciev v. Republic of Moldova, განაცხადი no. 9190/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 58.

პასუხისმგებლობის შიშით არსებობს მისი მიმალვის და პროცესის მწარმოებელ ორგანოში არ გამოცხადების საფრთხე. ამასთან ერთად, ზემოაღნიშნული გარემოების დამადასტურებელი იქნება ის ფაქტიც, თუ ბრალდებულმა დატოვა შემთხვევის ადგილი, მიიმალა და არ გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში, თუ ბრალდებულს აქვს უცხოეთში კავშირები ან/და არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან/და აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია<sup>50</sup>, საგამომიებო ორგანოში პირის არაერთხელ გამოძახების მიუხედავად ის თავს არიდებს გამოძიებას, ბრალდებულს არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ა.შ.

“2014 წლის 13 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა თბილისის პროკურატურის შუამდგომლობა კ.კ-ს დაკავების თაობაზე და არ დააკმაყოფილა. ამ უკანასკნელს ბრალი უნდა დასდებოდა მთვრალ მდგომარეობაში ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით). ამ კონკრეტულ საქმეში სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის არგუმენტაცია კ.კ-ს მიმალვის თაობაზე, ვინაიდან გამოძიებითვე იყო დადგენილი მისი მიერ შემთხვევის ადგილის დატოვების მიზეზები, კერძოდ მისი ძმის დაზიანება და არა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის თავის არიდება.”<sup>51</sup>

პირის დაკავების დასაბუთების ერთ-ერთი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. აღნიშნული საფრთხის დასაბუთებისას პროკურორი

---

<sup>50</sup> ალექსანდრ მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Aleksandr Makarov v. Russia), განაცხადი no. 15217/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება; მხიტარიანი რუსეთის წინააღმდეგ (Mkhitaryan v. Russia), განაცხადი no. 46108/11, 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება.

<sup>51</sup> მეურმიშვილი ბ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე "სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში", თბილისი 2014, გვ. 84-85

ყურადღებას აქცევს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს უკვე მოპოვებულ მტკიცებულებათა განადგურების რეალურ საფრთხეზე და მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლაზე: ხომ არ ეცადა ბრალდებული დანაშაულებრივი ფაქტის დაფარვას ქმედების ჩადენის შემდგომ<sup>52</sup>, დამალა ან გაანადგურა დანაშაულის იარაღი/საგანი, ხომ არ აქვს ურთიერთობა საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირებთან<sup>53</sup> და სხვ.

ახალი დანაშაულის ჩადენის მტკიცებისას ძირითადი ფაქტობრივი გარემოებებია პირის წარსული ნასამართლობა (სახეზეა თუ არა დანაშაულთა ერთობლიობა, არაერთგზისობა, რეციდივი)<sup>54</sup>, მისი პიროვნული მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის ფაქტობრივი გარემოებები (ხომ არ იყო ქმედების ჩადენის დროს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, იყო თუ არა მის მიერ ჩადენილი ქმედება განგრძობადი ხასიათის, იყო თუ არა გამოყენებული სამსახურებრივი უფლებამოსილება), ჩადენილი დანაშაულის ხასიათი<sup>55</sup> (ხომ არ არის ჩადენილი ნარკოდანაშაული, რომელსაც განმეორებითობა ახასიათებს) და სხვა. ერთგვაროვან დანაშაულთან მიმართებით პრაქტიკაში ყველაზე ხშირია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ანალოგიური დანაშაულის ჩადენა და მიუხედავად დანაშაულში მხილებული პირის თანამშრომლობის ხასიათისა, სასამართლო თითქმის ყოველთვის იზიარებს ბრალდების მხარის

---

<sup>52</sup> ალექსანდრ მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Aleksandr Makarov v. Russia), განაცხადი no. 15217/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება, პუნქტი 129.

<sup>53</sup> მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v. Georgia), განაცხადი no. 18996/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 102-104 პუნქტი

<sup>54</sup> პოპკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Popkov v. Russia), განაცხადი no. 32327/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება, პუნქტი 60; რომანოვა რუსეთის წინააღმდეგ (Romanova v. Russia), განაცხადი no. 23215/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 130.

<sup>55</sup> ალექსეი მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Aleksey Makarov v. Russia), განაცხადი no. 3223/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტი 50

პოზიციას და გასცემს დაკავების განჩინებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მეტად მაღალია მსგავსი კატეგორიის, ანალოგიური დანაშაულის ჩადენის საფრთხე. იგივე შეიძლება ითქვას არამხოლოდ ერთგვაროვანი დანაშაულის, არამედ ასევე ერთგვაროვანი ქმედების ჩადენის შემთხვევებზე. (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილი ქურდობისათვის ნასამართლევნი პირის მიერ კვლავ ანალოგიური ქმედების ჩადენა). პირის დანაშაულებრივი წარსულის შესახებ ამგვარ ინფორმაციას, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით სასამართლო ძირითად შემთხვევებში მიიჩნევს საკმარისად დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, რომ პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არის ინტენსიური და აუცილებელია პირის დაკავება.

მაგისტრატი მოსამართლე პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის და თანდართული მასალების საფუძველზე, ეს გადაწყვეტილება კი არ საჩივრდება. აღნიშნული დანაწესით კანონმდებელი სთხოვს პროკურორს წაადგინოს ყველა შესაძლო მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს მიაწოდებს ინფორმაციას იმ საფრთხეების შესახებ, რაც მართმსაჯულების სრულყოფილად განხორციელებას დაემუქრება პირის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში. შესაბამისად, განჩინების საფუძველზე პირის დაკავებისას წინასწარ მოწმდება არის თუ არა სახეზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება და დადებითი პასუხის შემთხვევაში სახეზე არის თუ არა დაკავების გამოყენების ფორმალური საფუძვლები. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ დაკავების დროს გამოყენებული ზომის პროპორციულობას სასამართლო არ შეამოწმებს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე და არსებითი ხასიათის დარღვევების არსებობის შემთხვევაში არ გაათავისუფლებს პირს დაკავებიდან.

## 2.4 დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე

სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების საფუძვლები გათვალისწინებულია საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.“ ზემოაღნიშნულ მუხლში მოცემულია საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც პირის დაკავებისთვის განჩინების მიღება დროის სიმცირის გამო შეუძლებელია.<sup>56</sup>

საქართველოს სსსკ-ის მიხედვით, დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიან 48 საათში ბრალდებულს უნდა წარედგინოს ბრალდება. ამავე დროში პირის ბრალდების შესახებ დადგენილება, დაკავების ოქმი, შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შესახებ და სისხლის სამართლის საქმის მასალები ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომისთვის წარდგენილი უნდა იყოს სასამართლოში, რათა ამ უკანასკნელმა დაადგინოს ჰქონდა თუ არა ადგილი დაკავების დროს, შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენისას,<sup>57</sup> ბრალდებულისთვის დაკავების ოქმის გადაცემის დროს კანონის არსებითი ხასიათის დარღვევას ადგილი,

<sup>56</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ“, 26/12/2007, II-26.

<sup>57</sup> მენეშევა რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი №. 59261/00, §87.

გამოყენებული იყო თუ არა იძულების პროპორციული ღონისძიება,<sup>58</sup> ხომ არ ჰქონდა ადგილი დაკავების დროის განმავლობაში ბრალდებულის მიმართ რაიმე სახის ძალადობას.<sup>59</sup> თუ ბრალდებული დაკავებულია გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, მოსამართლე ასევე აფასებს პირის დაუყოვნებლივ დაკავების აუცილებლობას. ზემოაღნიშნული დარღვევ(ებ)ის აღმოჩენის შემთხვევაში პირი თავისუფლდება დაკავებიდან.

„სასამართლო პრაქტიკაში ფიქსირდება საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით დაკავების შემთხვევებში. კერძოდ, დაკავებულ პირს განუმარტავენ, რომ მისი სასამართლოს განჩინების გარეშე დაკავების საფუძველი გახდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ მისი მიმალვა ან მიმალვა და შემდგომ თვითმხილველის მიერ მისი ამოცნობა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პირის მიმალვა არ შეიძლება განიმარტოს, როგორც დანაშაულის ჩადენის შემდეგ შემთხვევის ადგილის დატოვება. ამასთან, თვითმხილველის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირის ამოცნობა არ შეიძლება გავაიგივოთ სამართალდამცავ ორგანოებში საკუთარი ნებით, უწყების საფუძველზე გამოცხადებული პირის საგამომიებო მოქმედების - ამოცნობის შემდგომ ამ უკანასკნელის დაკავებასთან. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 09 იანვრის N10დ/74 განჩინებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება გულისხმობს მიმალვაში მყოფი ბრალდებულის თვითმხილველის მიერ ამოცნობას შემთხვევით ვითარებაში, როდესაც დანაშაულის თვითმხილველი, ფაქტიდან გარკვეული დროის შემდეგ, ბრალდებულს დაინახავს გარკვეულ ადგილას და მასზე მიუთითებს

---

<sup>58</sup> ნალბანდიანი სომხეთის წინააღმდეგ (Nalbandyan v. Armenia), განაცხადები nos. 9935/06 და 23339/06

<sup>59</sup> მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v. Georgia), განაცხადი no. 18996/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 69



სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს. ეს დანაწესი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს საგამომიებო მოქმედების ამოცნობის საფუძველზე საგამომიებო ორგანოებში საკუთარი ინიციატივით გამოცხადებული პირის დაუყოვნებლივ დაკავებას, მით უფრო, როცა მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ბრალდებული ამ კონკრეტული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების დროს თავისი ნებით იმყოფებოდა იმავე საგამომიებო ორგანოში და არ არსებობდა მისი მიმალვის ვარაუდი მინიმალური სტანდარტითაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი ლოგიკით, ბრალდების მხარეს ნებისმიერ დროს ექნება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლის ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობა“.

რაც შეეხება საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებითაც იცნობს დაკავებიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების არაერთ შემთხვევას. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიამ სასამართლოს კონტროლის გარეშე პირის დაუყოვნებლივ დაკავება კანონის არსებითი დარღვევით განხორციელებულად მიიჩნია, ვინაიდან არ არსებობდა მიმალვის საფრთხის კონკრეტული ნიშნები, კერძოდ, შესაძლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირს არ დაუტოვებია საცხოვრებელი სახლი, არ იკვეთებოდა დაზარალებულის მიერ პოლიციის გამოძახებისთვის ხელის შეშლის ან სხვა მსგავსი გარემოება, არავის დამუქრებია, არსად წასულა, დაკავებამდე თავის არიდების ან მიმალვის კონკრეტული ნიშნები არ არსებობდა, პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, რის გამოც მიმალვის რისკი არ იქნა დადასტურებული და არ ემყარებოდა დასაკავებელი პირის მხრიდან ობიექტურად განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებებს და მათ გონივრულ შეფასებას.“<sup>60</sup>

---

<sup>60</sup> ი.ხ. მაღლაკელიძე ლ., კერატიშვილი გ., „გამომიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით“, სახელმძღვანელო „ევროპული და

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პრობლემურია გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების შემთხვევები, როდესაც საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, საქმის გარემოებებთან ერთობლიობაში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიუთითებენ, რომ სასამართლოს განჩინების გაცემამდე, დროის მცირე მონაკვეთშია მოსალოდნელი ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენა, თუმცა სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამგვარ საფუძველს არ ითვალისწინებს. აღნიშნული პრობლემატურია განსაკუთრებით ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის საქმეებზე. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება თუ სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილი გაითვალისწინებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობისას, პირის დაკავების შესაძლებლობას ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც შექმნილი ვითარება სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან მყისიერ რეაგირებას მოითხოვს და სასამართლოს განჩინებისათვის დალოდება (24 საათი) არ იქნება ეფექტური. გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან მოხდება ბრალდებულის პირველი წარდგენის სხომაზე და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება, როგორც ეს სხვა საფუძველების შემთხვევაში ხდება.

## 2.5 აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ყველას აქვს თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. ეს დებულებები ვრცელდება ადამიანის თავისუფლებაზე გამოძიების და სასამართლო განხილვების პროცესშიც, თუ სახეზე არ გვაქვს ის კონკრეტული საფრთხეები, რის გამოც ნებადართულია ამ თავისუფლებების შეზღუდვა.

“სსსკ -ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების, მათ შორის პატიმრობის გამოყენების საფუძველია: „დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს“, ხოლო სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი არის „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლისსამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო პატიმრობის გამოსაყენებლად იკვლევს, არსებობს თუ არა ფაქტები ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც ობიექტური პირი დაასკვნიდა, რომ შესაძლოა პირი მიიმალოს, არ გამოცხადდეს სასამართლოში, გაანადგუროს მტკიცებულებები ან/და ახალი დანაშაული ჩაიდინოს. ამავე დროს, სსსკ-ის 195-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მითითებული სადავო ნორმები ახდენს თუ არა იმის გარანტირებას, რომ პატიმრობის გამოყენება მხოლოდ ობიექტურ გარემოებებზე დაფუძნებული ვარაუდის საფუძველზე იქნება შესაძლებელი. ასევე უნდა შეფასდეს, პატიმრობის გამოყენებისას რამდენად უზრუნველყოფს სადავო ნორმები მოსამართლეს საკმარისი მითითებით დასაბუთებული ვარაუდის ჩამოყალიბებისათვის.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ორი ტიპის საფუძველს და, მხოლოდ ორივეს

არსებობის შემთხვევაშია უფლებამოსილი სასამართლო მიიღოს პირის დაპატიმრების გადაწყვეტილება. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ არსებობს სისხლისსამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც პირის შესაძლო ბრალდებაში ობიექტურ პირს დაარწმუნებდა. აღნიშნული ნორმა ავალდებულებს სასამართლოს, შეაფასოს სისხლისსამართლის საქმის გარემოებები და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენოს წინასწარი პატიმრობა (ან სხვა აღკვეთის ღონისძიება), თუ დარწმუნდება, რომ საქმეში არსებული მასალები სისხლისსამართლებრივი დევნის დასაბუთებულობაზე მიუთითებენ. ამავე დროს, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლო ასევე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მტკიცებულებების განადგურების ან/და ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური ალბათობა/საფრთხე.”<sup>61</sup>

„კონკრეტული პირისათვის ბრალის წაყენება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. თბილისის სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ თითოეულ სისხლის სამართლის საქმე არის ინდივიდუალური, რომლის გამოძიება მიმდინარეობს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გარშემო და გამოძიების მიზანია სამართლებრივი შეფასებები მისცეს ამ ფაქტებს. ამ პროცესში შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ბრალდებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ამ საკითხის გადაწყვეტისას ბრალდების მხარემ დაწვრილებით უნდა შეაფასოს ამ პირის პიროვნული თვისებები, სს საქმის გარშემო არსებული გარემოებები და ამის შემდეგ განსაზღვროს არის თუ არა მისი მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის თუ მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხეები.

---

<sup>61</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-63-64

განსხვავებული მოცემულობის წინაშე დგება ბრალდების მხარე და სასამართლო თუ ამ კონკრეტულ პირს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული აქვს სასჯელის ისეთი სახე, რომელიც ავტომატურად გამორიცხავს ამ საფრთხეების რეალიზაციას.<sup>62</sup>

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის შემოწმებას სასამართლო ახდენს იმ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობის ანალიზით, რაც შეიძლება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადასტურებდეს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტს ან პირიქით. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ხელმძღვანელობისას მხარეს არ მოეთხოვება უტყუარობის ისეთივე სტანდარტებთან გათანაბრებული მტკიცებულებების წარმოდგენა, რასაც ადგილი აქვს ალბათობის მაღალი ხარისხის ან/და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტებით მტკიცებულებათა შეფასებისას.“<sup>63</sup>

“რაც შეეხება ფორმალურ (საპროცესო) საფუძველს საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნას განაჩენის აღსრულება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში,

---

<sup>62</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის განჩინება №1გ/386-17 საქმეზე - სასამართლო განმარტავს, რომ „პატიმრობა არის ბრალდებულისათვის თითქმის ყველა თავისუფლების შეზღუდვა, ამიტომ მის ერთხელ გამოყენებას შეუძლია აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, სხვა სს საქმეებთან მიმართებაშიც, განსაკუთრებით ეს ეხება მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, ვინაიდან ბრალდებულის დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა გამორიცხავს მის მიმალვას სხვა საქმის წარმოების პროცესში, ასევე მისი მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას.“

<sup>63</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინება №1გ/1547 საქმეზე

განადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ჩაიდენს ახალ დანაშაულს”<sup>64</sup>

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია უზრუნველყოს ბრალდებულის სათანადო ქცევა და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება უნდა გახდეს გარანტი, რომ ბრალდებული არ გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას და თავს არ აარიდებს სასამართლოს. შესაბამისად, მას შემდეგ რაც დადგინდება, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები, სასამართლო ვალდებულია ბრალდებულს შეუფარდოს რელევანტური აღკვეთის ღონისძიება და არ არის უფლებამოსილი უარი თქვას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, არაფექტურობის ან/და მისი შეფასებით შესაძლო თუნდაც „ფორმალური“ ხასიათის გამო. აღკვეთის ღონისძიება ყოველთვის არის შემაკავებელი ფაქტორი ბრალდებულის ქცევისადმი მით უფრო საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დამატებითი ღონისძიებების გამოყენების პირობებში.“<sup>65</sup> „მოსამართლემ უნდა იმსჯელოს, ბრალდებულთან მიმართებაში არსებულ საფრთხეებზე და კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამომძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის სტადიებზე. ამასთან სასამართლო არ უნდა იყოს შეზღუდული ბრალდების სიმძიმით და ჩადენილი ქმედების შინაარსით.“<sup>66</sup>

რაც შეეხება კონკრეტულ აღკვეთის ღონისძიებებს, საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „აღკვეთის ღონისძიების სახეებია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ,

---

<sup>64</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის 2017 წლის 4 ოქტომბრის განჩინება №1გ/1199-17 საქმეზე

<sup>65</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის 2017 წლის 04 ოქტომბრის განჩინება №1გ/1199-17 საქმეზე

<sup>66</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის 2016 წლის 5 ოქტომბრის განჩინება №1გ/1545 საქმეზე

პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა.“ ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლე იხილავს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს. საპროცესო კოდექსი ავალდებულებს შუამდგომლობის წამომდგენს დაასაბუთოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროების არსებობა, ამასთან ერთად როკურორმა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას უნდა დაასაბუთოს შუამდგომლობაში, რომ ის არის ერთადერთი საშუალება, „რათა თავიდან იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.“<sup>67</sup> ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენები შესახებ შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს თან ბრალდებულის წარსული ნასამართლობის შესახებ მონაცემები - თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განმარტებით „პირის წარსულში ნასამართლობა ყოველთვის არ მიუთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, მაგრამ როდესაც სახეზეა ერთგვაროვანი დანაშაულების რამდენჯერმე ჩადენა, თანაც, თუ ეს დანაშაულები დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებასა ან/და მისგან მომდინარე თანმდევი კანონისმიერი აკრძალვების დარღვევასთან ... უნდა მივიჩნიოთ, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკის არსებობა არის დასაბუთებული.“<sup>68</sup>

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობის დასაბუთებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ბრალდებულის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეზე, მაგრამ არის შემთხვევები,

---

<sup>67</sup> ი.ხ. საქართველოს სსკ. 2009 წლის 9 ოქტომბერი, (კონსოლიდირებული ვერსია 2021 წლის 11 იანვრის მდგომარეობით), 205-ე მუხლის პირველი ნაწილი

<sup>68</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 04 ოქტომბრის განჩინება №1გ/1199-17 საქმეზე

როდესაც მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის წარდგენილი აქვს ბრალი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებული არაა საპატიმრო სასჯელი, მაინც შესაძლებელია მის მიმართ გამოყენებული იქნას პატიმრობა, რადგან არასაპატიმრო სასჯელის არსებობა კონკრეტული დანაშაულისთვის „არ არის რელევანტური ფაქტორი მიმალვის ან/და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის შესაფასებლად. მით უფრო, რომ სხდომაზე გამოცხადება ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება. თუმცა ამავდროულად მხედველობაშია მისაღები ბრალდებულის პოზიცია და დამოკიდებულება, როგორც ჩადენილი ქმედებისადმი, ასევე ზოგადად სასამართლოს და საგამომიებო ორგანოში გამოცხადების მიმართ“<sup>69</sup> აღნიშნულის შეფასებით კი სასამართლო მიდის დასკვნამდე ბრალდებულის მიერ სასამართლოსთვის თავის არიდების საფრთხე არსებობს თუ არა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით... ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილი ასევე მიუთითებს პროკურორის ვალდებულებაზე სასამართლოში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის დროს მიუთითოს გირაოს თანხის ოდენობასა და მისი შეტანის ვადაზე. გირაოს ოდენობის მოთხოვნა კი უნდა იყოს დასაბუთებული და შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა, პროკურორმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მოთხოვნილი

---

<sup>69</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 04 ოქტომბრის განჩინება №1გ/1199-17 საქმეზე. იგივემსჯელობაა განვითარებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 05 ოქტომბრის განჩინება №1გ/1206-17 საქმეზე.



გირაოს თანხის ბრალდებულის მიერ გადახდის რეალურ შესაძლებლობას, მით უფრო მაშინ, როდესაც ბრალდებული აცხადებს, რომ საცხოვრებელი სახლი ოჯახს ბანკში აქვს ჩადებული კრედიტების უზრუნველსაყოფად და არ გააჩნია გირაოს გადახდის შესაძლებლობა. კანონმდებლის ზემოხსენებული მოთხოვნა განპირობებულია იმით, რათა გამოირიცხოს ე.წ. „შეფარული პატიმრობა“ და გირაოს ოდენობა პროკურორის მიერ მოთხოვნილი იქნას სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, ბრალდებულის რეალური ქონებრივი შესაძლებლობებისა და შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის ერთობლიობაში მხედველობაში მიღებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ გირაოს დადგენილი ოდენობა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გონივრული იმისათვის, რათა ბრალდებულს (ან მისი სახელით სხვა პირს) შეეძლოს გირაოს თანხის გადახდა ან უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში გირაოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით მოთხოვნა/დადგენა ვერ იქნება გამართლებული, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, ვინაიდან თავიდანვე იქნება მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს თანხის გადახდას და ამით, ხელოვნურად შევუწყობთ ხელს მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.“<sup>70</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში მოსამართლე ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსზე, რომლის თანახმადაც, თუ ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს

---

<sup>70</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 14 ივლისის განჩინება №1გ/945-17 საქმეზე.

სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა ან უძრავი ქონების შეტანა, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე... ეს დანაწესი მიუთითებს პროკურორის უფლებამოსილებაზე და არა ვალდებულებაზე, რაც არსებული პრაქტიკითაც დასტურდება, რომ პროკურორი ყველა შემთხვევაში არ მიმართავს სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნით. ხოლო, იმ გარემოების ფონზე, რომ პროკურორს გააჩნია საკითხის წარმართვისათვის დისკრეცია, არ შეიძლება ეს ნორმა მხოლოდ სასამართლოსთვის იქნას მიჩნეული იმპერატიული ხასიათის ნორმად და ისეთ ვითარებაში, როდესაც პროკურორი მიმართავს სასამართლოს გირაოს გადახდისათვის დადგენილი ვადის გასვლის გამო გირაოს შეუტანლობის მოტივით ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, სასამართლო არ არის ვალდებული უპირობოდ, საკითხის შესწავლისა და გაანალიზების გარეშე გამოიტანოს გადაწყვეტილება პირისათვის პატიმრობის შეფარდების შესახებ, მითუმეტეს, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები ვერ დაასაბუთებს პირის გამოძიების ეტაპზე პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობას და თუ ამასთან, ფაქტობრივად მიღწეული იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები.<sup>71</sup>

მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით გამოძიების, წინასასამართლო სხდომის და საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, კონკრეტულ საქმეზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან/და გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. ამას გარდა, საპროცესო კოდექსი პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლეს ავალდებულებს საქმის განხილვს კონკრეტულ ეტაპზე და კონკრეტული სიხშირით განიხილოს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის

---

<sup>71</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის განჩინება №1გ/566-17 საქმეზე

ლონისძიების - პატიმრობის შეცვლის საკითხი. უნდა ითქვას, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი არის ერთადერთი სტანდარტი, რომლითაც გამოძიების და სასამართლო განხილვის ეტაპზე საქმის განმხილველი ყველა მოსამართლე ხელმძღვანელობს.

### **3.გამოძიების სტადიაზე მტკიცების სტანდარტები კონტინენტური ევროპის და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში**

#### **3.1 კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში მტკიცების სტანდარტების შედარებითი ანალიზი**

ანგლო-ამერიკული (საერთო) სამართლებრივი სისტემის კონტინენტურ-ევტოპული სისტემისგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ნიშანია პრეცედენტებით ხელმძღვანელობა. ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში ნორმატიულ კანონმდებლობასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრეცედენტულ სამართალს. კანონებში ძირითადად მოცემულია ზოგადი ხასიათის დებულებები, რომლებსაც სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას განმარტავს.

ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც პროკურორი წარმოადგენს სახელმწიფოს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას და იცავს სახელმწიფოს ინტერესებს სამართალწარმოების პროცესში. მას აკისრია მტკიცების ტვირთი, იგი ზედამხედველობს ან/და თავად ატარებს გამოძიებას სრული მოცულობით. იგი უფლებამოსილია შეადგინოს საბრალდებო დასკვნა, რის შემდგომაც უნდა წარსდგეს წინასწარ კონფერენციაზე. იგი ადასტურებს პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების

ჩადენას გონივრული ეჭვს მიღმა სტანდარტით, წარადგენს მხოლოდ მისთვის ხელსაყრელ მტკიცებულებებს. აშშ-ს მოსამართლეს არ აქვს გამოძიების ვალდებულება; იგი აკმაყოფილებს მხარეთა მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს, იღებს გადაწყვეტილებას სამართლებრივ თუ ფაქტობრივ გარემოებებზე, ნაფიცი მსაჯულების არარსებობის შემთხვევაში იძიებს ფაქტობრივ გარემოებებს, უძღვება სასამართლოს, უფარდებს სასჯელს.<sup>72</sup>

„ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, სამოსამართლო სამართალია გაბატონებული და იურიდიულ მეცნიერებაში ნაკლებად მოიძებნება მტკიცების პროცესზე, მტკიცების ტვირთსა, თუ მტკიცებულებათა განკუთვნიანობასა და დასაშვებობაზე რაიმე ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა. წლების მანძილზე ჩამოყალიბებული კაზუსტური სამართლის საფუძველზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1975 წელს მოახდინა მტკიცების პროცესზე ერთიანი საკანონმდებლო დოკუმენტის შექმნა და მას „მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები“ უწოდა. აღნიშნული წესები მთელი შეერთებული შტატების მასშტაბით მოქმედებს და მის საფუძველზე სხვადასხვა შტატმა საკუთარი კანონმდებლობა ფედერალურ წესებთან შესაბამისობაში მოიყვანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საერთო სამართლის ქვეყნებშია მიღებული, აღნიშნული კანონი მაინც სახელმძღვანელო ხასიათისაა და მოსამართლეებს ლავირების ხარისხი კვლავაც მაღალი აქვთ.“<sup>73</sup>

აშშ-ს მტკიცების ფედერალური წესების მიხედვით საჩივარი არის უფლებამოსილი პირის მიერ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე წერილობით წარდგენილი ფაქტების ერთობლიობა, რომელიც ადასტურებს პირის ბრალდებას. თუ აღნიშნულ საჩივრში მითითებულმა მტკიცებულებამ

---

72

<https://www.fjc.gov/sites/default/files/materials/42/Overview%20of%20the%20U.S.%20Judicial%20System-Georgian.pdf> (ბოლოს ნანახია 29.01.2021)

73 ამილახვარი თ., "მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში", სტატიათა კრებული „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ. 2016წ. გვ. 1-2.

დაადასტურა, რომ ჩადენილია დანაშაული და სავარაუდოა, რომ იგი ჩაიდინა მოპასუხემ, მოსამართლე გასცემს დაკავების ორდერს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ პროკურორის მიერ წარდგენილ საჩივარში მითითებულ მტკიცებულებებს სასამართლო აფასებს ვარაუდის სტანდარტით, სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ ნებართვის გაცემის დროსაც.<sup>74</sup>

“ზოგიერთი საპროცესო იძულების ღონისძიებისთვის დადგენილია განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. ეს შეეხება დაპატიმრებასა და ჩხრეკას. „ხალხის უფლება - ნათქვამია აშშ-ს კონსტიტუციის IV შესწორებაში - პიროვნების, საცხოვრებლის, დოკუმენტებისა და ქონების დაცვაზე დაუსაბუთებელი ჩხრეკის ან დაპატიმრებისგან არ უნდა დაირღვეს.<sup>75</sup> ჩხრეკის ან დაპატიმრების ორდერი არ გაიცემა საკმარისი საფუძვლის არსებობის გარეშე, რომელიც დადასტურებულია ფიცის ან პირობის საზეიმო დადებით. ასეთ ორდერში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ჩხრეკის ადგილი, დასაპატიმრებელი პირი ან ქონება“.

აღსანიშნავია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის საკმარის საფუძველს ქმნის ის მტკიცებულებები, რომლებიც მხარემ მოიპოვა საქმისწარმოების მოცემულ ეტაპზე. ქართული სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებით აშშ-ს სისხლის სამართლის პროცესი არ იცნობს გამოკითხვის ოქმს, როგორც მტკიცებულებას, რაც ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვან და წონად მტკიცებულებას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. აშშ-ში გამომძიებელი არ ადგენს გამოკითხვის, დაკითხვის ან გასაუბრების ოქმს, ის საკუთარ უბის წიგნაკში ინიშნავს მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც შემდგომში აფიქსირებს კონკრეტული საქმის

---

<sup>74</sup> აშშ-ს მტკიცების ფედერალური წესები - Federal Rules of Criminal Procedure; 2021 Edition, Michigan Legal Publishing Ltd. (ი.ბ. <https://www.federalrulesofcriminalprocedure.org/table-of-contents/> ბოლოს ნაწილი 02.02.2021)

<sup>75</sup>ი.ბ. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 283

გამოძიების შედეგების ანგარიშში.<sup>76</sup> ამასთანავე მოწმე ვერ მისცემს ჩვენებას რაიმე ფაქტის შესახებ, „თუ არ არის წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასკვნისათვის, რომ მან პირადად აღიქვა ეს ფაქტი. პირადი ცოდნის დამადასტურებელი მტკიცებულება შეიძლება შედგებოდეს მოწმის ჩვენებისგან.<sup>77</sup>

ბრალდების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სისხლის სამართლის საქმემ უნდა გაიაროს შემდეგი სტადიები: 1) პოლიციელმა, რომელმაც ჩაატარა ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებები თავის უშუალო უფროსს უნდა წარუდგინოს ანგარიში მის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ღონისძიებების და მოპოვებული მტკიცებულებების შესახებ. 2)თუ უფროსი ცნობს, რომ ეჭვმიტანილის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი საკმარისად არის დადასტურებული ამოწმებს სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაციას, ხოლო მის სისწორეში დარწმუნების შემდგომ იგი წყვეტს არის თუ არა საკმარისი მტკიცებულებები, თუ არ არის წყდება სისხლის სამართლის საქმე. თუ სახეზეა საკმარისი მტკიცებულებები, მან უნდა გადაწყვიტოს საკითხი არის თუ არა დანაშაულებრივი ქმედება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სასამართლომ განიხილოს იგი, საქმე ეგზავნება პროკურორს. 3) პროკურორი წყვეტს მისთვის წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასაბუთებულა თუ არა ბრალდება. დადებითი პასუხის არსებობის შემთხვევაში ის იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას და საქმეს წარმართავს სასამართლოში. თუ პროკურორი მიიჩნევს, რომ ვერ მიაღწევს გამამტყუნებელ განაჩენს ის წყვეტს საქმეს. პროკურორი შეიძლება წაყენებული ბრალდების სიმყარის შესამოწმებლად თავად გაეცნოს წარდგენილ მტკიცებულებებს და

---

<sup>76</sup>ი.ხ. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 286

<sup>77</sup> აშშ-ს მტკიცების ფედერალური წესები - Federal Rules of Criminal Procedure - 602-ე წესი. <https://www.law.cornell.edu/rules/fre> (ბოლოს ნანახია 30.01.2021)

გადაამოწმოს მათი სანდოობა, გამოკითხოს მოწმეები და მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შემდგომი მსვლელობის თაობაზე.<sup>78</sup>

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ პროკურორმა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე უფრო მაღალი მტკიცებულებითი სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. შეიძლება ითქვას, რომ პროკურორი ამ ეტაპზე წყვეტს საკმარისია თუ არა მის ხელთ არსებული მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხისთვის, რომ საქმის არსებითი განხილვის ბოლოს გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.

„ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ საქმეზე შეერთებული შტატები ვატსონის წინააღმდეგ დაადგინა, რომ პოლიციის თანამშრომელმა გონივრულად უნდა მიიჩნიოს დაკავების ორდერის (განჩინების) მოპოვება, როდესაც ის რეალურად განხორციელებადია, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის გადაწყვეტილება დასაბუთებული ექვსის გამო დაკავების შესახებ უფრო ადვილად მისაღები შეიძლება გახდეს, ვიდრე მაგისტრატი მოსამართლის მიერ ორდერის გაცემა.“<sup>79</sup>

„ბელგიაში დაკავება მკაცრად რეგულირდება კანონით წინასწარი პატიმრობის შესახებ. პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს დაკავებული, როცა არსებობს სერიოზული ეჭვი მის წინააღმდეგ. პოლიციას შეუძლია დააკავოს პირი, მხოლოდ დანაშაულზე წასწრებისას... წინასწარ პატიმრობაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მოსამართლის კომპეტენციას შეადგენს... წინასწარი პატიმრობის შესახებ 1990 წლის კანონის შესაბამისად, მოსამართლეს წინასწარი პატიმრობის სანქციის

---

<sup>78</sup> ი.ხ. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 301-303

<sup>79</sup> მეურმიშვილი ბ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე "სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში", თბილისი 2014, გვ. 85

გაცემა შეუძლია მკაცრად განსაზღვრულ პირობებში, რომელთა არსებობაც მან პერსონალურად უნდა შეამოწმოს სანქციის გაცემისას, ბრალდებულის დაკითხვით. აღნიშნული პირობებია: ა) სერიოზული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული; ბ) დანაშაულისათვის სასჯელის სახით უნდა იყოს გათვალისწინებული დაპატიმრება 1 წელზე მეტი ვადით. გ) წინასწარი პატიმრობა უნდა იყოს უკიდურესად აუცილებელი საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად; დ) ამასთან ერთად უნდა არსებობდეს რისკი იმისა, რომ თავისუფლებაში მყოფი ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს ან გაიქცევა, ან შეცვლის მტკიცებულებებს ანდა შეუთანხმდება მესამე პირს.<sup>80</sup>

გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით მტკიცების მიზანია ჭეშმარიტების დადგენა. ამ მიზნით აკისრებს ვალდებულებას სასამართლოს გამოიკვილოს საქმის გადასაწყვეტად ყველა ფაქტი და მტკიცებულება. განასხვავებენ მტკიცების ორ სახეს: მკაცრ მტკიცებას და თავისუფალ მტკიცებას. მკაცრი მტკიცება ხორციელდება სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე პირის ბრალეულობის დადასტურებისას კანონით გათვალისწინებული პროცედურების და მტკიცებულებების საფუძველზე. თავისუფალი მტკიცებულება ხორციელდება წინასწარი გამოძიების ეტაპზე.<sup>81</sup>

გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით გამოძიების დაწყების საფუძველია ეჭვის არსებობა, რომ ჩადენილია დანაშაული. სისხლის სამართლის პროცესი ეჭვის განმარტებას არ იცნობს, ამიტომ დოგმატიკაში შემუშავდა მისი დეფინიცია. ეჭვი შეესაბამება ალბათობის ფილოსოფიურ კატეგორიას. განასხვავებენ უბრალო (მარტივი), საკმარის და სერიოზულ ეჭვს. სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენის უბრალო ეჭვი საკმარისია გამოძიების დასაწყებად, საკმარისი ეჭვი - (გფრ-

---

<sup>80</sup> იხ. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. ავტ. კოლექტი. ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, გვ. 40-41

<sup>81</sup> ი.ხ. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 517-518



ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით) ნიშნავს ისეთი ფაქტების არსებობას, რომლებიც მიუთითებენ უტყუარი მტკიცების საფუძველზე და ბრალდების სასამართლოს მიერ მსჯავრდების შესაძლებლობაზე. პროკურორის ვალდებულება არ არის შეამოწმოს სრული მოცულობით ბრალდებისა და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ყველა ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაცია. სერიოზული ეჭვის ცნება გამოიყენება პატიმრობის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, რადგან აღნიშნული ღონისძიება ყველაზე მეტად ზღუდავს პირის თავისუფლების სფეროს. სსსკ-ის თანახმად პატიმრობის გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ეჭვი ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის. ამასთანავე, საფუძვლიანი ეჭვი არის გამოძიების მოცემულ ეტაპზე შეკრებილი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც მიუთითებს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდების მაღალ ალბათობაზე.<sup>82</sup>

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ხელმძღვანელობს საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტით, რომ ბრალდებულმა განახორციელა ბრალად წარდგენილი ქმედება და არსებობს მისი მიმალვის, მტკიცებულებათა განადგურების ან/და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტი უდევს ასევე მოსამართლის მიერ გაცემულ ნებართვას პირის დაკავების შესახებ.<sup>83</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ აშშ-ში დასაბუთებულ ვარაუდზე ბევრად მაღალი მტკიცებულებითი სტანდარტი მოქმედებს კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით და ამასთანავე, აღნიშნულის შეფასების პროცესში მოსამართლის როლი მეტად მნიშვნელოვანია.

---

<sup>82</sup> ი.ხ. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 542-544

<sup>83</sup> ი.ხ. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 536-537

### 3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან მიმართებით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არაერთხელ დამდგარა ამა თუ იმ ქვეყნის ქმედებების ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი. სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ვხვდებით ზოგად განმარტებებს, თუ რა სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფომ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.“ აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილი საგამონაკლისო შემთხვევებიდან ერთ-ერთია - „პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.“ აღნიშნულ დანაწესში მოცემულია სტანდარტი, რომლის მიხედვითაც გამოძიების ეტაპზე სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს. „საფუძვლიანი ეჭვი“ - დასაბუთებული ვარაუდის იდენტურია, იგი არის მტკიცების ყველაზე დაბალი სტანდარტი, რომელიც საქმეში არსებული „რელევანტური“ და „საკმარისი“ მტკიცებულებების ერთობლიობით უნდა იყოს გამყარებული. სასამართლოს განმარტებით „საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტი“ გამოიყენება გამოძიების ეტაპზე, როგორც პატიმრობის თუ სხვა იძულების ღონიძიების გამოყენების საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობით ცხადი ხდება, რომ ის არ ცდილობს სახელმწიფოს განუსაზღვროს რომელია წონადი მტკიცებულება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას და რომელი არა. ის განმარტავს, რომ მთავარია სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილების მექანიზმი პირი მოქმედებდეს შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტის საფუძველზე, რათა შემდგომ არ დადგინდეს კონვენციის მეხუთე ან მეექვსე მუხლების დარღვევა. მაგ. „არათუ ოპერატიული ინფორმაციის, არამედ რამდენიმე იდენტიფიცირებული დაზარალებულის ჩვენების საფუძველზეც კი პირის დაკავებისას დაუდგენია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, როცა დაზარალებულების ჩვენების გარდა სხვა რაიმე მტკიცებულება საქმეში არ ყოფილა მითითებული, ხოლო დაზარალებულების ჩვენება არასაიმედო და გადაუმოწმებელი იყო. ასეთ შემთხვევებში, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის დაკავება გაუმართლებელია და სერიოზული ეჭვი არსებობს, რომ დაკავებული პირი განზრახ იყო მიზანში ამოღებული.“<sup>84</sup>

“ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება და დაუშვებელია მისი დაუსაბუთებელი პატიმრობა. ბრალდებული თავისუფალი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახელმწიფოს შეუძლია წარმოადგინოს „რელევანტური“ და „საკმარისი“ საფუძველები პირის გახანგრძლივებულ პატიმრობაში ყოფნის გასამართლებლად.“<sup>85</sup> “აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულის ჩადენისა, მისი პატიმრობაში ყოფნის მართლზომიერების აუცილებელი პირობაა. თუმცა, დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, აღნიშნული გარემოება

---

<sup>84</sup> მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წლის იანვარი, გვ.19

<sup>85</sup> ბახმუტსკი რუსეთის წინააღმდეგ (Bakmutskiy v. Russia), განაცხადი no.36932/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტები 135-136.

ველარ ასაბუთებს პირის გახანგრძლივებულ თავისუფლების შეზღუდვას. უნდა არსებობდეს „რელევანტური“ და „საკმარისი“ საფუძვლები, რომლებიც უნდა ამართლებდეს პირის პატიმრობაში ყოფნას.“<sup>86</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოებს შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმპციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან. ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას, თუ სახელმწიფოს არ შეუძლია მოიყვანოს „რელევანტური და საკმარისი“ არგუმენტები პირის განგრძობით პატიმრობაში ყოფნის გასამართლებლად.<sup>87</sup> აღნიშნული საფუძველი უნდა იყოს “ზოგადი და აბსტრაქტული” ბრალდების სიმძიმე და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური საშიშროება არ შეესაბამება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. საქმეში - *Boicenco v Moldova*, (11/07/2006, §143)

რაც შეეხება მტკიცებულებათა მოპოვების და მისი იურიდიული ძალის მნიშვნელობის თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნავს, რომ „კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, ხოლო სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში, რაც მოიცავს მტკიცებულებათა მოპოვების გზებს, სამართლიანი... (იხ. ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], N4378/02, §§88-90, 10 მარტი 2009, და როვე და დევისი გაერთიანებული

---

<sup>86</sup> არუთიუნიანი რუსეთის წინააღმდეგ (*Arutyunyan v. Russia*), განაცხადი no. 48977/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 99

<sup>87</sup> იაჯი და სარგინი თურქეთის წინააღმდეგ (*Yagci and Sargin v. Turkey*), განაცხადი no. 16419/90 16426/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 50.

სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა], N28901/95, §60, ECHR 2000-II). იმ საკითხის განსაზღვრისას, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, გათვალისწინებული უნდა იქნეს მტკიცებულებათა ხარისხი, მათ შორის, აყენებდა თუ არა ეჭვის ქვეშ მათ სანდოობას ან სიზუსტეს ის გარემოებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა მათი მოპოვება... უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მტკიცებულება საკმაოდ მყარია და მათი სანდოობა არ არის საეჭვო, უფრო ნაკლებია ასეთი მტკიცებულების სხვა მტკიცებულებებით გამყარების საჭიროება (იხ. ბიკოვი, §90, ასევე იხ. პრადე გერმანიის წინააღმდეგ, N7215/10, §34, 3 მარტი 2016). სასამართლო იმეორებს, რომ მართალია, კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, თუმცა იგი არ ადგენს მტკიცებულების დასაშვებობის რაიმე წესს, რაც, პირველ რიგში, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს (იხ. სჩენკი შვეიცარიის წინააღმდეგ, 12 ივლისი 1988, §45, სერია A N140; ტეიქსერია დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ, 9 ივნისი 1998, §34, ანგარიშები 1998-IV; და ჯალოპი გერმანიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], N54810/00, §§ 94-96, ECHR 2006-IX). შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს ფუნქციას, პრინციპულად, არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, კონკრეტული სახის მტკიცებულება - მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, იყო თუ არა დასაშვები ან იყო თუ არა მომჩივანი დამნაშავე. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, რაც ასევე მოიცავს მტკიცებულებების მოპოვების წესს. ეს გულისხმობს „უკანონობის“ გამოკვლევასა და კონვენციის სხვა მუხლის შესაძლო დარღვევის დადგენას (იხ. ბიკოვი, §89, და პრადე §33).“<sup>88</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, უპირობოდ დაუშვებელი მტკიცებულებაა წამების შედეგად მიღებული ინფორმაცია -

---

<sup>88</sup>კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (KOBIAHVILI v. GEORGIA), განაცხადი no. 36416/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 56-58.

„წამების შედეგად მიღებული მტკიცებულებების გამოყენება აკრძალულია კონვენციური სამართლით არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი მასალის გამოყენება სასამართლო განხილვას უკარგავს სამართლიან ბუნებას, არამედ იმიტომაც და განსაკუთრებით იმიტომ, რომ უკავშირდება მე-3 მუხლით დადგენილ ფუნდამენტურ, უპირობო და უცვლელ აკრძალვას, რომელიც კონვენციის დაცვის საფუძველშია ჩადებული. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა საქმეში *Jalloh v. Germany* 44 EHRR 32.“<sup>89</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სახელმწიფოებს უდგენს იმ ზოგად სტანდარტებს, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში დეტალურად უნდა გაწერონ. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ავალდებულებს ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით მოიპოვონ მტკიცებულებები, წარადგინონ ისინი სასამართლოში, იმ პირობებში, რომ დაცვის მხარესაც მიეცეს შესაძლებლობა მათი გამოკვლევისათვის. შეკრიბონ ისეთი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც იქნება საკმარისი პირის ბრალდებისთვის, ამასთანავე, საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტით, ფაქტობრივი საფუძვლების არსებობასთან ერთად დაადასტურონ ფორმალური საფუძვლების არსებობაც. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ადამიანის უფლებების შემზღვევა საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების საფუძველად დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტია დადგენილი. დასაბუთებული ვარაუდის საკანონმდებლო დეფინიცია, საკმარისად ცხადი და განჭვრეტადია და სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ „საფუძვლიანი ეჭვის“ სტანდარტთან. რაც შეეხება მის

---

<sup>89</sup> ოთმანი (აბუ ქათადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი no. 8139/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 17 იანვარი, გადაწყვეტილების პუნქტი 48

პრაქტიკაში გამოყენებას, აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის გარემოებათა ერთობლიობის საფუძველზე უნდა შეფასდეს ისე, რომ დაუსაბუთებელი და უკანონო ჩარევა არ მოხდეს ადამიანის ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში.

### დასკვნა

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე ყველაზე მნიშვნელოვანი საპროცესო გადაწყვეტილება პირის ბრალდებულად ცნობაა, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პირის ბრალდებულად ცნობა იწვევს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის უფლების ამოქმედებას და ბრალდებული აღიჭურვება ყველა შესაბამისი საპროცესო გარანტიით. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“. დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე პირის ბრალდება კონსტიტუციური პრინციპია. აღნიშნული პრინციპი ასევე განმტკიცებულია საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლში, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული“. პირის ბრალდების მტკიცებულებითი საფუძვლის კონსტიტუციური დებულებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გამოძიების სტადიაზე საპროცესო გადაწყვეტილებების მიღებისას, შასაბამისი მტკიცებულებითი საფუძვლის სწორი სამართლებრივი შეფასება. ნაშრომში განხილული იქნა როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ისე ადამიანის უფლებების სხვადასხვა ინტენსივობით მზლუდავი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები და სასამართლო

პრაქტიკა. ასევე განხილული იქნა შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და გაკეთდა შედერებით-სამართლებრივი ანალიზი. პრაქტიკის ანალიზიდან გამოივითა პრობლემა, რაც დაკავშირებული სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების მტკიცებულებით სტანდარტთან, როცა მიმაალვის საფრთხე ნაკლებია ან საერთოდ არ არის, ხოლო მსგავსი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე იმდენად მაღალია, რომ დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს. გამოითქვა მოსაზრება და რეკომენდაცია სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების საფუძვლად ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური და განგრძობადი საფრთხის არსებობისა, როდესაც სასამართლოს განჩინებისათვის დალოდება არ იქნება ეფექტური. პრობლემების იდენტიფიცირებისას გამოიკვეთა საგამოძიებო მოქმედების დაგეგმვისა და სწორად შერჩევის მნიშვნელობა, განხილულ იქნა ჩხრეკისა და ამოღების მაგალითი შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილების კონტექსტში. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილებაში სასამართომ იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებულ პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ფორმალურ და მატერიალურ კრიტერიუმებზე და სათანადოდ გადამოწმებული „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის ჩატარების შესაძლებლობა არ მიიჩნია არაკონსტიტუციურად. აღნიშნულის გადაწყვეტილების და დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსის გაანალიზების შედეგად გაკეთდა შესაბამისი დასკვნები, თუ რა შემთხვევაშია დასაშვები ასეთი ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის ჩატარება. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გამოძიების სტადიაზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი მნიშვნელოვანი როს ასრულებს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის



შენარჩინებაში, ის იძლევა საკმარის გარანტიებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისათვის და შესაბამისი სასამართლო კონტროლის მექანიზმების დახმარებით, კეთილსინდისიერად განმარტების შემთხვევაში, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ადამიანის ძირითადი უფლებების გაუმართლებელი და იხეში დარღვევა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### სამეცნიერო ნაშრომები:

1. ქათამაძე ე., „მტკიცების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, ჟურნალი N6, კავკასიის უნივერსიტეტი, 2014წ.;
2. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მეხუთე გადამუშავებული გამოცემა, რედაქტორი ბადრი ბიწაძე, თბილისი 2015, "ბონა კაუზა";
3. ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1982;
4. ოშხარელი მ., "მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა", მართლმსაჯულება და კანონი N1(57)2018;
5. ბოხაშვილი ი., "წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესში", თსუ-ს სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ.;
6. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014წ.;

7. გიორგაძე გ., ბარამიძე ა., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014წ.;
8. ფაფიაშვილს ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძეს დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ. - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015 წლის 1 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე - <https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/16/6ef3a43b9a3432caef47ce80898b0e61> ;
9. მაღლაკელიძე ლ., კერატიშვილი გ., „გამოძიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით“, სახელმძღვანელო „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო, სამართალზე“, გამომც. მერიდიანი, თბილისი 2019წ.;
10. ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კ. კორკელია, თბ., 2010წ.;
11. მეურმიშვილი ბ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე "სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში", თბილისი 2014;
12. ამილახვარი თ., "მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში", სტატიათა კრებული „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები" დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ. 2016წ.;

13. მეურმიშვილი ბ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე "სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში", თბილისი 2014;
14. ავტ. კოლექტივი, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი;
15. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007;
16. მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წლის იანვარი.
17. JAMES W. GARNER, *CRIMINAL PROCEDURE IN FRANCE*, 25 YALE L.J. (1916). დოკუმენტი ხელმისაწვდომია საიტზე: : <http://digitalcommons.law.yale.edu/ylj/vol25/iss4/1/> (ბოლო ნახვის თარიღი 25.01.2021);

**საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები**

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 04 ოქტომბრის განჩინება №1გ/1199-17 საქმეზე;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 04 ოქტომბრის განჩინება №1გ/1199-17 საქმეზე;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 05 ოქტომბრის განჩინება №1გ/1206-17 საქმეზე;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 14 ივლისის განჩინება №1გ/945-17 საქმეზე;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის განჩინება №1გ/566-17 საქმეზე;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინება №1გ/1547 საქმეზე;
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 5 ოქტომბრის განჩინება №1გ/1545 საქმეზე;
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის განჩინება №1გ/386-17 საქმეზე;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მიერ 2016 წლის 10 მაისს გამოტანილი განაჩენი №652აპ-15

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/548 "საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ";
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები დავით-მიხეილი შუბლაძე და ლევან იზორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ";
4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/3/182,185,191, 29/01/2003;

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 26/12/2007;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. ბახმუტსკი რუსეთის წინააღმდეგ (Bakhmutskiy v. Russia), განაცხადი no.36932/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება;
2. არუთიუნიანი რუსეთის წინააღმდეგ (Arutyunyan v. Russia), განაცხადი no. 48977/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება;
3. იაჯი და სარგინი თურქეთის წინააღმდეგ (Yagci and Sargin v. Turkey), განაცხადი no. 16419/90 16426/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება;
4. ბუზაჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ (Bუზადჯი ვ. დეპუბლიც ოფ მოლდოვა), განაცხადი ნო. 23755/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება;
5. კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (KOBIAISHVILI v. GEORGIA), განაცხადი no. 36416/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილები;

6. მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v. Georgia), განაცხადი no. 18996/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
7. ოთმანი (აბუ ქათადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი no. 8139/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 17 იანვარი, გადაწყვეტილება;
8. Saadi v. UK 2008, განაცხადი N 13229/03;
9. ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ (Letellier v. France), განაცხადი no. 12369/86, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება;
10. Becciev v. Republic of Moldova, განაცხადი no. 9190/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
11. ალექსანდრ მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Aleksandr Makarov v. Russia), განაცხადი no. 15217/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება;
12. მხიტარიანი რუსეთის წინააღმდეგ (Mkhitaryan v. Russia), განაცხადი no. 46108/11, 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება;
13. მენშევა რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი no. 59261/00, §87.
14. ნალბანდიანი სომხეთის წინააღმდეგ (Nalbandyan v. Armenia), განაცხადები nos. 9935/06 და 23339/06
15. Laukkanen and Manninen v. Finland, ECtHR, 03.02.2004, განაცხადი no.. 50230/99;
16. Skondrianos v. Greece, ECtHR, 18.12.2013, განაცხადები no. 63000/00; 74291/01 and 74292/0;
17. Fitt v. The United Kingdom, ECtHR, 16.02.2000, განაცხადი no. 29777/96;
18. Brandstetter v. Austria, ECtHR, 28.08.1991, განაცხადები no. 11170/84; 12876/87; 13468/87.

19. პოპკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Popkov v. Russia), განაცხადი no. 32327/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება, პუნქტი 60;
20. რომანოვა რუსეთის წინააღმდეგ (Romanova v. Russia), განაცხადი no. 23215/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
21. ალექსეი მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Aleksey Makarov v. Russia), განაცხადი no. 3223/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.

**გამოყენებული ნორმატიული აქტები:**

1. საქართველოს კონსტიტუცია 24 აგვისტო 1995 წელი (კონსოლიდირებული ვერსია 2020 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით);
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2009 წლის 9 ოქტომბერი, (კონსოლიდირებული ვერსია 2021 წლის 11 იანვრის მდგომარეობით);
3. საქართველოს სსსკ. 1998 წლის 20 თებერვალი (24/12/2014 მდგომარეობით);
4. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, 30 აპრილი 1999წელი (2021 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით).
5. პოლიციის შესახებ საქართველო კანონი, 4 ოქტომბერი, 2013 წელი (2020 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით)

**გამოყენებული ვებ-გვერდები (უკანასკნელად იქნა შემოწმებული 2021 წლის 10 თებერვალს):**

1. აშშ-ს მტკიცების ფედერალური წესები - Federal Rules of Criminal Procedure; 2021 Edition, Michigan Legal Publishing Ltd. (ი.ხ. <https://www.federalrulesofcriminalprocedure.org/table-of-contents/> ბოლოს ნანახია 02.02.2021);
2. აშშ-ს მტკიცების ფედერალური წესები - Federal Rules of Criminal Procedure - 602-ე წესი. <https://www.law.cornell.edu/rules/fre> (ბოლოს ნანახია 30.01.2021);
3. <https://www.fjc.gov/sites/default/files/materials/42/Overview%20of%20the%20U.S.%20Judicial%20System-Georgian.pdf> ; (ბოლოს ნანახია 29.01.2021)